



ეროვნული შესაძლებლობების შეფასება და
შესაძლებლობათა განვითარების გეგმა
საქართველოში ნარჩენების მართვის სექტორში არსებული
კანონმდებლობის განხორციელების უზრუნველყოფისათვის

2016 წლის ოქტომბერი

მომზადებულია Georgia's Environmental Outlook (GEO)-ს მიერ გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის თვალსაზრისს.

შინაარსი

1 შესავალი	3
1.1 ნარჩენების მართვის ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო.....	3
1.2 დოკუმენტის მიზანი და გამოყენებული მეთოდოლოგია	4
1.3 დოკუმენტის სტრუქტურა.....	5
2 ეროვნულ დონეზე სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობათა შეფასება და შესაძლებლობათა განვითარების საჭიროებები	5
2.1 საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	5
2.2 საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.....	14
2.3 საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.....	16
2.4 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ..	19
2.5 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.....	22
2.6 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.....	23
2.7 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.....	26
3 ნარჩენების მართვის სექტორში ეროვნულ დონეზე სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობათა განვითარების გეგმა.....	28
დანართი I „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მიხედვით მისაღები სტრატეგიები, სამოქმედო გეგმები და კანონქვემდებარე აქტები.....	39

1 შესავალი

1.1 ნარჩენების მართვის ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო

გასული რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საქართველოში ნარჩენების მართვის სისტემის საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბების მიმართულებით. კერძოდ, ნარჩენების მართვის კანონმდებლობაზე მუშაობის პროცესი 2011 წელს, ევროკავშირი-საქართველოს თვინივანის პროგრამის ფარგლებში დაიწყო. ამ პროცესის შედეგად, 2014 წლის დეკემბერში მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“, რომელმაც შექმნა ერთიანი მარეგულირებელი ჩარჩო ეროვნულ დონეზე ნარჩენების მართვის სფეროში. ასევე, ევროკავშირის დახმარებით, მომზადდა ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია და ნარჩენების მართვის 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის №160 დადგენილებით. გარდა ამისა, მომზადდა მთელი რიგი კანონქვემდებარე აქტებისა, მათ შორის ევროკავშირის და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტების ფარგლებში, კერძოდ:

- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს ბრძანება №211 „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს დადგენილება №421 „ნავაგსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს დადგენილება №422 „ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს დადგენილება №426 „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის დადგენილება №143 ტექნიკური რეგლამენტი - „ნარჩენების ტრანსპორტირების წესის“ დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის დადგენილება №144 „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის დადგენილება №145 „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის დადგენილება №159 „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.

ასევე, მომზადდა საქართველოს კანონის პროექტი „ნარჩენების იმპორტის, ექსპორტისა და ტრანზიტის შესახებ“. მისი წარდგენა პარლამენტისათვის დასამტკიცებლად უახლოეს მომავალში იგეგმება. აღნიშნული კანონპროექტი ჩაანაცვლებს არსებულ კანონს „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“.

„ნარჩენების მართვის კოდექსი“ ადგენს ნარჩენების მართვის ძირითად პრინციპებს და მოთხოვნებს მათ შორის შეგროვების, ტრანსპორტირების, აღდგენის და განთავსების ღონისძიებებისათვის და ასევე, მიზნად ისახავს სამართლებრივი საფუძვლების შექმნას ისეთი ღონისძიებების განხორციელებისათვის, რომლებიც ხელს შეუწყობს ნარჩენების პრევენციას და მათი ხელახალი გამოყენების და რეციკლირების ზრდას. კოდექსი ადგენს ძირითად კომპეტენციებს და ვალდებულებებს ნარჩენების მართვის სფეროში; ადგენს მოთხოვნებს ნარჩენების მართვის დაგეგმვის, ნარჩენებთან დაკავშირებული საქმიანობის ნებართვის და რეგისტრაციის, ნარჩენების აღრიცხვის და ანგარიშგების და სხვ. სფეროებში და ასევე, განსაზღვრავს სანქციებს ნარჩენებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის. „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებულია სტრატეგიების, სამოქმედო გეგმების და მთელი რიგი კანონქვემდებარე აქტების შემუშავება და მიღება (იხ. დანართი I), რომელთა ნაწილიც, როგორც უკვე აღინიშნა მიღებულია, ხოლო ნაწილზე მუშაობა უახლოეს დროში დაიწყება.

ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია და ნარჩენების მართვის 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა მთლიანად ეფუძნება „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებს. სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მიზანია საქართველოში ნარჩენების მართვის სისტემის ჰარმონიზება ევროკავშირის ნარჩენების მართვის პოლიტიკასთან. სტრატეგიაში, ცხრა პრიორიტეტული მიმართულების მიხედვით, წარმოდგენილია მიზნები და მათი შესაბამისი კონკრეტული ამოცანები. ხოლო, სამოქმედო გეგმაში მოცემულია ამ მიზნების და ამოცანების შესრულებისათვის საჭირო განსახორციელებელი ქმედებები.

1.2 დოკუმენტის მიზანი და გამოყენებული მეთოდოლოგია

როგორც უკვე აღინიშნა, ეროვნულ დონეზე ნარჩენების მართვის მარეგულირებელი ჩარჩო ახალი შემუშავებულია. უახლოეს დრომდე ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდებოდა ცალკეული ნორმატიული აქტებით, თუმცა, ერთიანი საკანონმდებლო ჩარჩო არ არსებობდა. ახალი საკანონმდებლო აქტების შემუშავება ჯერ-ჯერობით, ძირითადად, საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში მიმდინარეობს. ჯერ კიდევ მისაღებია კოდექსით განსაზღვრული მთელი რიგი კანონქვემდებარე აქტებისა, რომლებიც, სავარაუდოდ, ასევე დონორების დახმარების საშუალებით განხორციელდება, როგორც მითითებულია ნარჩენების მართვის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში. თუმცა, იმავდროულად, აუცილებელია ეროვნული შესაძლებლობების განვითარება უკვე არსებული და ახლო მომავალში მისაღები საკანონმდებლო აქტების განხორციელების უზრუნველყოფისათვის, მით უფრო იმ სფეროებში, რომელთა რეგულირება აქამდე არ ხდებოდა. აღნიშნული კვლევის მიზანია ეროვნულ დონეზე სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობათა შეფასება ნარჩენების მართვის არსებული კანონმდებლობის განხორციელების კუთხით, შესაბამისი შესაძლებლობათა განვითარების საჭიროებების გამოვლენა და სამოქმედო გეგმის მომზადება, რომელშიც მოცემული იქნება შესაძლებლობათა განვითარებისათვის საჭირო ქმედებები. აღნიშნული სამოქმედო გეგმა გამიზნულია როგორც საორიენტაციო დოკუმენტი შესაძლებლობათა განვითარების დაგეგმვისათვის როგორც სახელმწიფო უწყებების, ისე დონორებისათვის.

კვლევის პროცესში განხორციელდა საქართველოს ნარჩენებთან დაკავშირებული კანონმდებლობის და ნარჩენების სფეროში ჩართული სახელმწიფო უწყებების კომპეტენციების დეტალური შესწავლა და ჩატარდა პერსონალური ინტერვიუები ეროვნულ დონეზე სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან. ინტერვიუების მიზანი იყო არსებული პრაქტიკის უფრო ღრმა ანალიზი, კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციების განხორციელების კუთხით ხარვეზების და სირთულეების გამოვლენა და მათი მიზეზების დადგენა, იმისათვის, რათა სწორად მომხდარიყო საჭიროებათა შეფასება და შესაძლებლობათა განვითარების ღონისძიებების განსაზღვრა. კვლევამ მოიცვა საქართველოს შვიდი სამინისტრო, რომლებსაც გააჩნიათ ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული სხვადასხვა კომპეტენციები. კერძოდ, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და შინაგან საქმეთა სამინისტრო.

1.3 დოკუმენტის სტრუქტურა

დოკუმენტის შესავალ ნაწილში წარმოდგენილია ნარჩენების მართვის ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო, დოკუმენტის მიზნები და გამოყენებული მეთოდოლოგია. მეორე თავი ეძღვნება ეროვნულ დონეზე სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობათა შეფასებას და შესაძლებლობათა განვითარების საჭიროებების მიმოხილვას. ამ თავის თითოეული ქვეთავი ეძღვნება შესაბამის სამიზნე სამინისტროს. კერძოდ, მიმოხილულია სამინისტროების ზოგადი კომპეტენციები ნარჩენების მართვის სფეროში, არსებული პრაქტიკა და პრობლემები და შესაძლებლობათა გაძლიერების საჭიროებები. დოკუმენტის ბოლო, მესამე თავში წარმოდგენილია შესაძლებლობათა განვითარების გეგმა, სადაც განსახორციელებელი შესაძლებლობათა განვითარების ღონისძიებები მოცემულია სფეროების მიხედვით, ხოლო თითოეული ღონისძიებისათვის მითითებულია სამიზნე სამინისტრო(ები) და ასევე, საკანონმდებლო დოკუმენტ(ებ)ი, რომლის განხორციელებასაც ხელს შეუწყობს აღნიშნული ღონისძიება. გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული შესაძლებლობათა განვითარების ღონისძიებების განხორციელების საჭიროება უკვე დგას მიღებული კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, არ არის მითითებული ამ ღონისძიებების განხორციელების კონკრეტული ვადები. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროებათა გამოვლენა და შესაძლებლობათა განვითარება უწყვეტი პროცესია.

2 ეროვნულ დონეზე სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობათა შეფასება და შესაძლებლობათა განვითარების საჭიროებები

2.1 საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

კომპეტენციები ნარჩენების მართვის სფეროში

“ნარჩენების მართვის კოდექსის” მიხედვით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს კომპეტენციაა ნარჩენების მართვის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. სამინისტრო შეიმუშავებს ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას და კოორდინაციას უწევს სამოქმედო გეგმის განხორციელებას. ასევე, სამინისტრო პასუხისმგებელია ბიოდეგრადირებადი მუნიციპალური ნარჩენების მართვის სტრატეგიის შემუშავებაზე. სამინისტრო

ახორციელებს ნარჩენების აღრიცხვას და აწარმოებს ნარჩენების მონაცემთა ბაზას; გასცემს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის ნებართვას, აწარმოებს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის რეგისტრაციას და ახორციელებს ნარჩენების მართვის სახელმწიფო კონტროლს. გარდა ამისა, სამინისტროს ვალდებულებაა ნარჩენების პრევენციის, სეპარირების, წინასწარი დამუშავების, ხელახალი გამოყენების და რეციკლირების ხელშეწყობა.

ასევე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსებს დაცვის სამინისტრო სხვა შესაბამის სამინისტროებთან ერთად პასუხისმგებელია ნარჩენების ტრანსპორტირების, ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის, სამედიცინო ნარჩენების მართვის და ცხოველური ნარჩენების მართვის რეგულირებასა და კონტროლზე.

არსებული პრაქტიკა და პრობლემები

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს კომპეტენციების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის, ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის დარეგისტრირება, მოთხოვნების დაწესება რეგულირების ობიექტებისათვის და ამ მოთხოვნების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა, მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების შეთანხმება, კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმების შეთანხმება, აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოება და ელექტრონული მონაცემთა ბაზის ოპერირება და ა.შ. ბოლო ორი წლის მანძილზე მიღებულ კანონმდებლობას უკავშირდება. ამ კომპეტენციების განხორციელების პრაქტიკა აქამდე საქართველოში არ არსებობდა. შესაბამისად, არსებობს მრავალი კითხვა ამ კომპეტენციების პრაქტიკული განხორციელების კუთხით, რაც საჭიროებს შესაბამის შესძლებლობათა განვითარებას როგორც კონკრეტული სახელმძღვანელო დოკუმენტების, ე.წ. „გაიდლაინების“ შემუშავების ისე პერსონალის ტრენინგის საშუალებით.

ტრადიციულად, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს კომპეტენცია იყო ეროვნულ დონეზე ნარჩენების მართვის დაგეგმვა და პრიორიტეტების განსაზღვრა და სახიფათო და სპეციფიკური ნარჩენების მართვა. ასევე, სამინისტრო გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის პროცედურის საშუალებით იღებს გადაწყვეტილებას იმ საქმიანობების განხორციელების თაობაზე, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი პოტენციური ზიანი მიაყენონ გარემოს. ეროვნულ დონეზე ნარჩენების მართვის დაგეგმვა იყო საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამების ნაწილი, თუმცა მონაცემების და ინფორმაციის ნაკლებობის გამო, ასევე, ნარჩენების მართვის სფეროში მკაფიო პრიორიტეტების არარსებობიდან გამომდინარე, მოქმედებათა პროგრამებში ჩამოყალიბებული განსახორციელებელი ქმედებები ზოგადი ხასიათის იყო და არ წარმოადგენდა ერთიანი სტრატეგიული ხედვის ნაწილს. გარდა ამისა, ამ ქმედებების განხორციელებისათვის არ იყო უზრუნველყოფილი საჭირო ბიუჯეტი. რაც შეეხება გადაწყვეტილების მიღებას ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული და სხვა საქმიანობების განხორციელების თაობაზე და ამ საქმიანობების რეგულირებას და კონტროლს, ამ სფეროში ძირითად გამოწვევებს წარმოადგენდა ნარჩენების მართვის ობიექტების და ინფრასტრუქტურის და გამოყენებული ტექნოლოგიების მიმართ მკაფიო მოთხოვნების არარსებობა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისუსტე, ისევე როგორც არასაკმარისი შესაძლებლობები სანებართვო პირობების შესრულების სათანადო ზედამხედველობის და კონტროლისათვის. ამასთან,

პრაქტიკულად შეუძლებელი იყო იმ საქმიანობების კონტროლი, ნარჩენების მართვის კუთხით, რომლებიც არ ექვემდებარებოდა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღებას, თუ ცალკეულ შემთხვევებში ინფორმაცია არ შემოვიდოდა რაიმე განსაკუთრებული დარღვევის შესახებ. შედარებით უკეთ დარეგულირებული სფერო იყოს ნარჩენების ტრანსპორტირება და დაზიანება, რაც ხორციელდებოდა 1995 წლის კანონის „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“ შესაბამისად. გარდა ამისა, საქართველოში 1999 წლიდან ძალაშია „ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირება და დაზიანებასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“. ამჟამად შემუშავებულია ახალი კანონპროექტი „ნარჩენების იმპორტის, ექსპორტისა და ტრანზიტის შესახებ“, რომელიც სრულად ასახავს ბაზელის კონვენციის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო ნარჩენების ექსპორტზე, იმპორტზე და ტრანზიტზე სრული კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას.

შესაძლებლობათა გაძლიერების საჭიროებები

ნარჩენების მართვის სფეროში ბოლო წლებში მიღებული კანონმდებლობით დადგენილი ახალი კომპეტენციების განხორციელების უზრუნველყოფისათვის მიზანშეწონილია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შესაძლებლობათა განვითარება შემდეგ საკითხებში:

სფერო: ნარჩენების კლასიფიკაცია და მათი სახიფათო თვისებების დადგენა
სამიზნე: ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახური
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს დადგენილება №426 „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ განსაზღვრავს ნარჩენების კლასიფიკაციის და მათი სახიფათო თვისებების დადგენის წესს. მოცემული კლასიფიკაციის მიხედვით მოხდება ნარჩენების იდენტიფიცირება და რეგულირების ობიექტის¹ მიერ ნარჩენების პირველადი ინვენტარიზაცია და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ნებისმიერი შემდგომი ანგარიშგება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია რომ სამინისტროს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურის და ასევე, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები ფლობდნენ შესაბამის ცოდნას და უნარებს იმისათვის, რომ სწორად მოახდინონ ნარჩენების იდენტიფიცირება და შეძლონ რეგულირების ობიექტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორის ადეკვატურად შეფასება. აღნიშნული მიმართულებით შესაძლებლობების განვითარება გულისხმობს პრაქტიკული გაიდლაინის მომზადებას, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელი იქნება ამა თუ იმ ნარჩენის სწორად იდენტიფიცირება და ასევე, შესაბამისი პერსონალის ტრენინგებს. ტრენინგებმა უნდა უზრუნველყოს როგორც ცოდნის გადაცემა, ისე ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარება. ტრენინგმა სრულყოფილად უნდა მოიცავს ნარჩენების კლასიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხები - ნარჩენების კოდები, ნარჩენების სახიფათო თვისებები, აღდგენის გზები და სახიფათო/არასახიფათო ნარჩენებად კლასიფიცირება.

¹ ნარჩენების წარმომქმნელი, გარდა საოჯახო მეურნეობის და მოსახლეობისა.

სფერო: ნარჩენების აღრიცხვა-ანგარიშგება და ელექტრონული მონაცემთა ბაზის ოპერირება

სამიზნე: ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახური გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს დადგენილება №422 „ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ“ განსაზღვრავს რეგულირების ობიექტების² მიერ ნარჩენების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვის, წარმოების და სამინისტროს წინაშე ანგარიშგების წესს. ნარჩენების აღრიცხვა-ანგარიშგების მიზანია „ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობების შესახებ სრული და საიმედო ინფორმაციის მიღება“. აღრიცხვა-ანგარიშგების ფორმების სამინისტროში წარდგენა რეგულირების ობიექტებს ევალებათ ელექტრონული ფორმით, ნარჩენების მონაცემთა ბაზაში. ნარჩენების მონაცემთა ბაზის ადმინისტრირებას ახორციელებს სამინისტრო.

ამ მიმართულებით შესაძლებლობათა განვითარება უნდა ითვალისწინებდეს ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურის თანამშრომლების ტრენინგს, რათა მათ მარტივად შეძლონ აღრიცხვა-ანგარიშგების ფორმებით წარმოდგენილი მონაცემების სისწორის გადამოწმება და საჭიროების შემთხვევაში მონაცემების დაზუსტების/გასწორების მოთხოვნა. კონკრეტული საკითხები, რომლებიც ტრენინგმა უნდა მოიცვას, შეიძლება დაზუსტდეს მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება ბრძანება „აღრიცხვა-ანგარიშგების ელექტრონული ფორმების და ნარჩენების მონაცემთა ბაზის ელექტრონული ფორმების შევსების წესის შესახებ“.³ იგივე სახის ტრენინგის ჩატარება მიზანშეწონილია გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის, როგორც, ნარჩენების ელექტრონული მონაცემთა ბაზის აქტიური მომხმარებლისთვის, გამომდინარე იქედან, რომ ბაზაში არსებული მონაცემებით სწორად ოპერირება დეპარტამენტისათვის მნიშვნელოვანია ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული რეგულაციების აღსრულების უზრუნველყოფისათვის.

გარდა ამისა, მიზანშეწონილია ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურის თანამშრომლების ტრენინგი ეროვნულ დონეზე ნარჩენების მართვის დაგეგმვის საკითხებში, იმ მიზნით, რომ მათ შეძლონ კომპანიებიდან ანგარიშგების შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავება, საჭიროების შემთხვევაში ექსტრაპოლაცია და გამოყენება ნარჩენების მართვის შემდგომი დაგეგმვისათვის, კერძოდ, ნარჩენების მართვის პრიორიტეტების, მიზნების და ამოცანების დადგენისათვის, დროში გაწერილი სამიზნეების მითითებით. დღეისათვის, ეროვნულ დონეზე ნარჩენების მართვის დაგეგმვის პრობლემაა სწორედ არასაკმარისი გამოცდილება ამ სფეროში და ასევე,

² ფიზიკური და იურიდიული პირები ა) რომელთა სამეწარმეო საქმიანობა დაკავშირებულია ნარჩენების შეგროვებასთან, ტრანსპორტირებასთან ან/და დამუშავებასთან; და ბ) რომელთა საქმიანობის შედეგად, წლის განმავლობაში, 2 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი (გარდა მუნიციპალური ნარჩენებისა) ან/და ნებისმიერი რაოდენობის სახიფათო ნარჩენი წარმოიქმნება.

³ „ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს №422 დადგენილების მე-2 მუხლის მიხედვით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა 2016 წლის პირველ დეკემბრამდე უნდა გამოსცეს ბრძანება „აღრიცხვა-ანგარიშგებ ელექტრონული ფორმების და ნარჩენების მონაცემთა ბაზის ელექტრონული ფორმების შევსების წესის შესახებ.“

მონაცემების სიმწირე. აღრიცხვა-ანგარიშების შედეგად მიღებული მონაცემები მნიშვნელოვანწილად გადაჭრის მონაცემების ნაკლებობის პრობლემას. თუმცა, საჭირო იქნება შესაძლებლობათა განვითარება ამ მონაცემების შემდგომი დაგეგმვის პროცესში გამოყენებისათვის. ასევე, სამსახურის ვალდებულებაა ყოველწლიური კონსოლიდირებული ანგარიშის მომზადება, სადაც ასახული იქნება ნარჩენების შესახებ სტატისტიკური მონაცემები. იგივე ტრენინგის ფარგლებში სასურველია მოხდეს ამ ანგარიშის ფორმატის შემუშავება, იმისათვის, რომ ანგარიშმა მოიცვას ყველაზე რელევანტური და საჭირო ინფორმაცია და იყოს ადვილად განახლებადი.

სფერო: ნარჩენებთან დაკავშირებული საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების საკითხები: საქმიანობის რეგისტრაცია, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემა, კომპანიების ნარჩენების მართვის გეგმების შეთანხმება

სამიზნე: ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახური გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტი

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის დადგენილება №144 “ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ” განსაზღვრავს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობების რეგისტრაციის პროცედურებსა და მოთხოვნებს.⁴ რეგისტრაციის მოთხოვნის განაცხადის და სხვა დამატებითი დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე, სამინისტრო ადასტურებს შესაბამისი საქმიანობის რეგისტრაციას და ანიჭებს რეგისტრაციის ნომერს.

მთელ რიგ შემთხვევებში, განმცხადებელს მოეთხოვება განაცხადს თან დაურთოს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. მაგალითად, *50 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის* რეგისტრაციისათვის, განმცხადებელმა განაცხადს თან უნდა დაურთოს იმ ღონისძიებათა აღწერილობა, რომელთა მეშვეობითაც თავიდან იქნება აცილებული გარემოს დაბინძურება და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედება. *2-დან 10 ტონამდე სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის* რეგისტრაციისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს ობიექტის აღწერილობა, რომლითაც დადასტურდება, რომ ობიექტი აკმაყოფილებს სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალურ მოთხოვნებს.⁵ კერძოდ, ეს მოთხოვნები შეეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა ადგილის შერჩევის წესები აღნიშნული ტიპის ობიექტის მოწყობისათვის და სახიფათო ნარჩენებით გარემოს დაბინძურების პრევენცია. *არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების* რეგისტრაციისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს ნარჩენების

⁴ რეგისტრაციის მოთხოვნა ვრცელდება შემდეგ საქმიანობებზე: ნარჩენების შეგროვება ან/და ტრანსპორტირება; 50 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ოპერირება; არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება; არანაკლებ 2 და არაუმეტეს 10 ტონა სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ოპერირება; ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის მოწყობა და ოპერირება.

⁵ აღნიშნული მოთხოვნები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №145 დადგენილებით სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტენიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.

წინასწარი დამუშავების ოპერაციის ტიპი (ტექნიკური პროცედურები) და სხვა, მათ შორის გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები. *გადამტვირთავი სადგურის* რეგისტრაციისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს ობიექტის აღწერილობა და გარემოზე ზემოქმედების საკითხები. ასევე, სამინისტროს, საჭიროებისამებრ, შეუძლია მოსთხოვოს განმცხადებელს დასარეგისტრირებელ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.

გარდა ამისა, სამინისტრო გასცემს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას და გარემოზე ზემოქმედების ნებართვას ისეთი, მათ შორის უშუალოდ ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული, საქმიანობებისათვის, რომლებიც გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედებით ხასიათდებიან. ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახური განიხილავს შესაბამისი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაციას და ამზადებს დასკვნას, რის საფუძველზეც გაიცემა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და შემდეგ, გარემოზე ზემოქმედების, ან მშენებლობის ნებართვა.

ასევე, “ნარჩენების მართვის კოდექსის მიხედვით”, სამინისტრო ითანხმებს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმას.⁶ ნარჩენების მართვის გეგმა უნდა მოიცავდეს ისეთ ინფორმაციას, როგორცაა ნარჩენების კოდები, დასახელება, თვისებები, რაოდენობა, პრევენციისა და აღდგენის ღონისძიებები, შეგროვების და ტრანსპორტირების მეთოდები, სეპარირების მეთოდები, დროებითი შენახვის მეთოდები და პირობები და სხვ.⁷

და ბოლოს, სამინისტრო უზრუნველყოფს გარემოზე ზემოქმედების ნებართვით და რეგისტრაციის პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების და ზოგადად, ნარჩენების და გარემოს დაცვის სფეროში არსებული ეროვნული კანონმდებლობის შესრულების ზედამხედველობას და სახელმწიფო კონტროლს.

ზემოთ აღნიშნული კომპეტენციების წარმატებით განხორციელებისათვის, მიზანშეწონილია ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურის შესაძლებლობათა გაძლიერება ნარჩენებთან დაკავშირებული საქმიანობების გარემოზე ზემოქმედების შეფასების სფეროში. კერძოდ, ტრენინგებმა უნდა მოიცვას ისეთი საკითხები, როგორცაა, არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის და გადამტვირთავი სადგურების გარემოზე ზემოქმედების ძირითადი საკითხები და ზემოქმედების თავიდან აცილების საშუალებები, არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების ოპერაციები, გარემოზე ზემოქმედება და თავიდან აცილების ღონისძიებები; ნარჩენების შეგროვების მეთოდები; ნარჩენების ტრანსპორტირება, მათ შორის დასაშვები და რეკომენდებული სატრანსპორტო საშუალებები; ნარჩენების სეპარირების მეთოდები, განსაკუთრებით, სახიფათო ნარჩენების სხვა ნარჩენებისაგან განცალკევების მეთოდები; ნარჩენების დროებითი

⁶ “ნარჩენების მართვის კოდექსის” მიხედვით, კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება მოეთხოვება ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომლის საქმიანობის შედეგად წლის განმავლობაში 200 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი ან ნებისმიერი რაოდენობის სახიფათო ნარჩენი წარმოიქმნება.

⁷ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს ბრძანება № 211 კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ

შენახვის მეთოდები და პირობები და სხვ. ასევე, ტრენინგებმა უნდა მოიცვას გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობების გარემოზე ზემოქმედების შეფასების საკითხები, როგორცაა ნარჩენების, მათ შორის სახიფათო ნარჩენების, განთავსება, აღდგენა და დამუშავება. ასევე მიზანშეწონილია გათვალისწინებული იყოს სპეციფიკური ნარჩენების, კერძოდ მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების, ნარჩენი ზეთების, აზბესტის და სხვ. გარემოზე ზემოქმედების და გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მიყენებული ზიანის თავიდან აცილების და შერბილების საკითხები.

ნარჩენების სფეროში ზედამხედველობის და სახელმწიფო კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების ტრენინგი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის და რეგისტრაციის პირობების ინსპექტირების/კონტროლის და კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხორციელების კონტროლის საკითხებში. გარდა ამისა, მიზანშეწონილია რომ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ჩართული იყოს ნარჩენების ტრანსპორტირების, ცხოველური ნარჩენების მართვის და სამედიცინო ნარჩენების დახარისხებულად შეგროვების ზედამხედველობის და აღსრულების სფეროში დაგეგმილ შესაძლებლობათა გაძლიერების ღონისძიებებში, შესაბამის უფლებამოსილ სამინისტროებთან ერთად (იხ თავი. 3 ნარჩენების მართვის სექტორში ეროვნულ დონეზე სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობათა განვითარების გეგმა).

სფერო: მოთხოვნები სახიფათო ნარჩენების მიმართ

სამიზნე: ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახური
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის დადგენილება №145 “სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე” განსაზღვრავს სახიფათო ნარჩენების შეგროვების, დამუშავების, დროებითი შენახვის, შეფუთვის და ეტიკეტირების სპეციალურ მოთხოვნებს. ასევე, ტექნიკური რეგლამენტი ადგენს მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს სახიფათო ნარჩენების მიკვლევადობას მისი წარმოქმნიდან საბოლოო განთავსებამდე და ადგენს განსაკუთრებულ მოთხოვნებს გარკვეული ტიპის სახიფათო ნარჩენებისათვის, როგორცაა: მდგრადი ორგანული დამაბინძურებლები, ნარჩენი ზეთები, აზბესტის ნარჩენები და სხვა.

სახიფათო ნარჩენების წარმომქმნელმა, სახიფათო ნარჩენების კლასიფიკაციისთანავე უნდა მოამზადოს სახიფათო ნარჩენების საინფორმაციო ფურცელი, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ნარჩენების წარმოშობის, კლასიფიკაციისა და სახიფათო თვისებების შესახებ, ასევე, ინფორმაციას უსაფრთხოების ზომებისა და პირველადი დახმარების შესახებ ავარიის შემთხვევაში. გარდა ამისა, სახიფათო ნარჩენების საინფორმაციო ფურცელში წარმოდგენილი უნდა იყოს სათანადო საშიშროების კლასის აღმნიშვნელი ნიშნების ნიმუშები იმ კონტეინერების/სატრანსპორტო საშუალებების მარკირებისთვის, რომლებიც შეიცავენ/გადაზიდავენ სახიფათო ნარჩენებს.

სახიფათო ნარჩენების გადამზიდველი ვალდებულია სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებისას თან იქონიოს აღნიშნული ნარჩენების საინფორმაციო ფურცელი და ასევე, სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების ფორმა. ტრანსპორტირების ფორმაში მითითებულია ინფორმაცია გამგზავნის, მიმღების, დატვირთვის ადგილის,

გამოყენებული სატრანსპორტო საშუალების, გადმოტვირთვის ადგილის შესახებ. ასევე, მითითებულია გადასაზიდი ნარჩენის კოდი, დასახელება და ოდენობა. ნარჩენის ტრანსპორტირებაში ჩართული ყველა რგოლი აღნიშნულ ტრანსპორტირების ფორმაში ხელმოწერით ადასტურებს ნარჩენების გადაცემას/მიღებას. ამისათვის, სახიფათო ნარჩენების გამგზავნი ტრანსპორტირების დაწყებამდე ელექტრონულ ფორმაში ავსებს და სამინისტროში აგზავნის სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების ფორმას. ამის შემდეგ, ტრანსპორტირებაში ჩართული ყველა შემდგომი რგოლი, ელექტრონულ სისტემაში, იგივე ფორმაში ახდენს ნარჩენის მიღების და შემდგომი გადაცემის დადასტურებას, მის საბოლოო დანიშნულების ადგილზე მიტანამდე. კერძოდ, გადამზიდველ(ებ)ი ადასტურებს ნარჩენების მიღებას და შემდეგი/საბოლოო მიმღებისთვის ჩაბარებას. თავის მხრივ, მიმღები ტრანსპორტირების ფორმაში ადასტურებს შენახვის/აღდგენის/განთავსების მიზნით სახიფათო ნარჩენების მიღებას და ელექტრონული სისტემის საშუალებით აგზავნის ინფორმაციას სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების დასრულების შესახებ.

აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს სახიფათო ნარჩენების გადაზიდვის მიკვლევადობას ტრანსპორტირების ყველა ეტაპზე. სამინისტროს საშუალება ეძლევა თვალყური ადევნოს სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებას ელექტრონულ სისტემაში და პრობლემის წამოჭრის შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ზომები.

ასევე, სამინისტრო გადაწყვეტილებას იღებს სახიფათო ნარჩენების შერევის თანხმობის გაცემის თაობაზე, ოპერატორის თხოვნის არსებობის შემთხვევაში, თუ შერევის ოპერაციები ხორციელდება საუკეთესო არსებული ტექნიკის მეშვეობით და აუბოძებს რეციკლირების ან აღდგენის საბოლოო პროდუქტის ხარისხს, ან/და განთავსების შემდეგ ან ტრანსპორტირებისას ამცირებს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზიანის მიყენების რისკს.

ზემოთ აღწერილი მოთხოვნებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია სამინისტროს, კერძოდ ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურის და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაძლებლობათა განვითარება შემდეგ საკითხებში: სახიფათო ნარჩენების შეფუთვა, ეტიკეტირება, ტრანსპორტირება, დამუშავება, დროებითი შენახვა, უსაფრთხოების ზომები და პირველადი დახმარება ნარჩენების ტრანსპორტირებისას ავარიის შემთხვევაში, სახიფათო ნარჩენების კონტეინერების/სატრანსპორტო საშუალების მარკირება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახიფათო ნარჩენების აღდგენა, დამუშავება, განთავსება და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობაა. შესაბამისად სამინისტრო გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის განხილვის საფუძველზე გასცემს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას და გარემოზე ზემოქმედების ნებართვას. ხოლო, 2-დან 10 ტონამდე მოცულობის სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვა ექვემდებარება რეგისტრაციას. გარემოზე ზემოქმედების ნებართვის და რეგისტრაციის პროცედურებთან დაკავშირებით საჭირო შესაძლებლობათა განვითარების ღონისძიებები განხილულია ამ ქვე-თავის მე-3 პუნქტში.

სფერო: მოთხოვნები ნაგავსაყრელების მიმართ

სამიზნე: ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახური

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სამსახური

საქართველოს მთავრობის 2015 წლის დადგენილება №421 „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ ადგენს მოთხოვნებს ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და დახურვის შემდგომი პროცედურების მიმართ, ასევე, ნაგავსაყრელზე ნარჩენების მიღების და განთავსების მოთხოვნებს. დადგენილების მიხედვით, აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედებამდე არსებულმა ნაგავსაყრელებმა, რომლებიც არ ფლობენ გარემოზე ზემოქმედების ნებართვას, მისი ამოქმედებიდან (2015 წლის 11 აგვისტო) 18 თვის ვადაში უნდა უზრუნველყონ ნაგავსაყრელების ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის გეგმის წარდგენა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში.

ნაგავსაყრელზე ნარჩენების განთავსება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობაა. საქართველოში, დღესდღეობით, სულ სამი მოქმედი ნაგავსაყრელი არსებობს, რომლებიც ფლობს გარემოზე ზემოქმედების ნებართვას. აქამდე არსებული ტექნიკური რეგლამენტი “მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობისა და ექსპლუატაციის წესები და ნორმები”⁸ ზოგად, მოძველებულ მიდგომებზე იყო დაფუძნებული და არ ითვალისწინებდა თანამედროვე ტიპის ნაგავსაყრელი მიმართ მოთხოვნებს. საქართველოში ჯერ-ჯერობით არ არის საკმარისი პრაქტიკა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების თავიდან აცილების/შერბილების მიზნით ნაგავსაყრელების მიმართ დეტალური ტექნიკური მოთხოვნების დადგენის, ისევე როგორც, ამ მოთხოვნების ინსპექტირების/კონტროლის სფეროში. შესაბამისად მიზანშეწონილია ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურის და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სამსახურის შესაძლებლობათა გაძლიერება ისეთ საკითხებში როგორცაა არსებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნები ნაგავსაყრელის მიმართ როგორც მოწყობის ისე ოპერირების ეტაპზე. მათ შორის, ნაგავსაყრელის ადგილმდებარეობა, ნაგავსაყრელების საპროექტო სიმაღლეები და ტოპოგრაფია, წყლის კონტროლი და გამონაჟონის მართვა, ნიადაგის და წყლის დაცვა, ნაგავსაყრელის აირების მართვა, სადრენაჟო სისტემა, ნაგავსაყრელის გეოლოგიური ბარიერის შერჩევის პირობები, ზედა და ქვედა საიზოლაციო სისტემები, ნაგავსაყრელის ფენები და სხვ. ასევე, ნაგავსაყრელის ოპერირების პროცედურები, როგორცაა ნარჩენების მიღება, ოპერირების წესები, ემისიების კონტროლი, ნაგავსაყრელის დახურვა და დახურვის შემდგომი მოვლა. ასევე, ყურადღება უნდა გამახვილდეს ძველი ნაგავსაყრელების 2016 წლის ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხებზე, გამომდინარე იქედან, რომ სამინისტრომ უნდა შეითანხმოს აღნიშნული გეგმები. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისათვის მიზანშეწონილია ნაგავსაყრელის ინსპექტირების დეტალური ინსტრუქციის/გაიდლაინის შემუშავება. ასევე, ყურადღება უნდა გამახვილდეს ნაგავსაყრელების დაკონსერვების კონტროლზე და ინსპექტირებაზე. გამომდინარე იქედან, რომ საქართველოში არ არსებობს დაკონსერვებული ნაგავსაყრელის შემოწმების პრაქტიკა. უნდა შემუშავდეს

⁸ ძალადაკარგულია. დამტკიცებული იყო საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის № 416 დადგენილებით

სახელმძღვანელო მითითებები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა შემოწმდეს აქვს თუ არა ადგილი ემისიებს დაკონსერვებული ნაგავსაყრელიდან.

2.2 საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

კომპეტენციები ნარჩენების მართვის სფეროში

“ნარჩენების მართვის კოდექსის” მიხედვით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კომპეტენციაა არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა, მართვა და დახურვა და ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა და მართვა.

საქართველოს მასშტაბით, გარდა ქ. თბილისის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელების ოპერირებას, მართვას, ზედამხედველობას და კონტროლს ახორციელებს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, რომელიც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებულ სახელმწიფო კომპანიას წარმოადგენს.

არსებული პრაქტიკა და პრობლემები

მოუწესრიგებელი და სტიქიური მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელები საქართველოში წლების მანძილზე გარემოს დაზიანებების წყაროს წარმოადგენდა. არ არსებობდა შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო და ასევე, საჭირო რესურსები, რაც უზრუნველყოფდა ნაგავსაყრელების სწორ მართვას. საქართველოში დღეისათვის აღრიცხულია 60-მდე მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელი. აქედან ჯერ-ჯერობით მხოლოდ სამი მოქმედი ნაგავსაყრელი ფლობს გარემოზე ზემოქმედების ნებართვას, კერძოდ, თბილისის, რუსთავისა და ბორჯომის ნაგავსაყრელები. 2012 წლიდან ნაგავსაყრელების მართვა, გარდა თბილისის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ნაგავსაყრელებისა, გადაეცა შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“ გამომდინარე იქედან, რომ მუნიციპალიტეტების შეზღუდული ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობები იმ ეტაპზე არ იყო საკმარისი აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად. კომპანიის სტრატეგიული მიზანია არსებული მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელების ეტაპობრივი დახურვა და ახალი, თანამედროვე, რეგიონული ნაგავსაყრელების მშენებლობა. დღეის მდგომარეობით, კომპანიის დაქვემდებარებაშია 53 მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელი. ჯერ-ჯერობით მოხდა 13 არსებული ნაგავსაყრელის დახურვა და 28 ნაგავსაყრელის რეაბილიტაცია. იგეგმება 8 ახალი რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობა მთელი საქართველოს ტერიტორიაზე, გარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიისა, რომელთა დაფარვა შემდეგნაირი იქნება: 1) იმერეთი-რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი, 2) ქვემო ქართლი, 3) კახეთი, 4) სამეგრელო ზემო-სვანეთი, 5) შიდა ქართლი, 6) მცხეთა მთიანეთი, 7) სამცხე-ჯავახეთი, 8) გურია. მათგან, უახლოეს მომავალში აშენდება იმერეთისა (2016-2019) და ქვემო ქართლის (2017-2020) რეგიონული ნაგავსაყრელები. გარდა ამისა, აჭარაში, ქობულეთის მუნიციპალიტეტში აშენდება ახალი ნაგავსაყრელი, რომელიც დაფარავს აჭარის მოსახლეობის 80%-ს.

რაც შეეხება არსებულ, ძველ მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელებს, რომლებიც მოქმედი იყო “ნარჩენების მართვის კოდექსის” ძალაში შესვლის მომენტისათვის, კოდექსის მოთხოვნით, ფუნქციონირებას განაგრძობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. ხოლო, თუ არსებულ ნაგავსაყრელს ნებართვა არ გააჩნია, ნაგავსაყრელის ოპერატორი ვალდებულია მოამზადოს არსებული ნაგავსაყრელის „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ პირობებთან შესაბამისობაში მოყვანის გეგმა, აღნიშნული დადგენილების ძალაში შესვლიდან (2015 წლის 11 აგვისტო) 18 თვის ვადაში და შეუთანხმოს აღნიშნული გეგმა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს. სამინისტროს იღებს გადაწყვეტილებას ნაგავსაყრელის ფუნქციონირების შეწყვეტის ან გაგრძელების და ამ ქმედებების შესაბამისი ვადების და პირობების შესახებ, გამომდინარე იმ რისკებიდან რასაც შეიცავს ნაგავსაყრელი გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

შესაძლებლობათა გაძლიერების საჭიროებები

სფერო: ძველი ნაგავსაყრელების ახალი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა; ნაგავსაყრელების დახურვა/კონსერვაცია; ტექნიკური საჭიროებები.

სამიზნე: შპს “საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია”

საქართველოში დღეისათვის არ არსებობს ახალი ნაგავსაყრელების მშენებლობისა და ოპერირებისათვის საჭირო საკმარისი რესურსები და ტექნიკური შესაძლებლობები. როგორც მითითებულია ნარჩენების მართვის 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმაში, ახალი რეგიონული ნაგავსაყრელების მშენებლობა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დახმარებით განხორციელდება. ამასთან, ნაგავსაყრელების მშენებლობის პროექტებში გათვალისწინებული იქნება შესაბამისი შესაძლებლობათა განვითარების ღონისძიებები ახალი ნაგავსაყრელების მოწყობის და ოპერირების და ნაგავსაყრელების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფისათვის. გამომდინარე აქედან, გადაფარვების თავიდან ასაცილებლად, წინამდებარე დოკუმენტში არ არის შეტანილი აღნიშნული მიმართულებით შესაძლებლობათა განვითარების ღონისძიებები და ყურადღება გამახვილებულია იმ სფეროებზე, სადაც ჯერ-ჯერობით არ არის გათვალისწინებული დონორების დახმარება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია შესაძლებლობათა განვითარება არსებული, ძველი ნაგავსაყრელების ახალი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის გეგმების მომზადების კუთხით. მიზანშეწონილია პრაქტიკული სახელმძღვანელო დოკუმენტის (გაიდლაინის) მომზადება, რომელიც ნაგავსაყრელის ოპერატორებს დაეხმარება აღნიშნული გეგმების შემუშავებაში. ასევე, საჭირო იქნება ტრენინგები ამ გეგმების მომზადების და განხორციელებისათვის პრაქტიკული ცოდნის და უნარების მისაღებად. მსგავსი პრაქტიკული, ტექნიკური ტრენინგები მიზანშეწონილია ჩატარდეს ნაგავსაყრელების დახურვის ღონისძიებების თაობაზეც. ამასთან, საქართველოს მრავალფეროვანი გეოგრაფიის და კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, ტრენინგზე გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა პირობები მსგავსი სამუშაოების ჩასატარებლად, მაგ. ჭაობიანი ტერიტორიები დასავლეთ საქართველოში და ხეობები აღმოსავლეთ საქართველოში.

ტექნიკურ საჭიროებებს შორის შეიძლება გამოვყოთ ნაგავსაყრელის გამონაჟონი წყლების შესამოწმებელი პორტატული აპარატები, იმისათვის, რომ ნაგავსაყრელების ოპერატორებმა შეძლონ გამონაჟონი წყლების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ზომების მიღება. აღნიშნული აპარატების ზუსტი მოდელი შეთანხმებული უნდა იყოს შპს “საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან”. გარდა ამისა, ნარჩენების მართვის კომპანიას ესაჭიროება პროგრამული უზრუნველყოფა GIS სისტემაში, სადაც ნაგავსაყრელები იქნება დატანილი. ასევე, მიზანშეწონილია პერსონალის ტრენინგი შესაბამისი პროგრამის მოხმარებაში.

2.3 საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

კომპეტენციები ნარჩენების მართვის სფეროში

“ნარჩენების მართვის კოდექსის” მიხედვით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მართვის სამინისტროსთან ერთად არეგულირებს და ზედამხედველობს ცხოველური ნარჩენების⁹ მართვას. კოდექსით ასევე გათვალისწინებულია ცხოველური ნარჩენების მართვის შესახებ კანონქვემდებარე აქტის მიღება 2017 წლის 1 თებერვლამდე, რომელიც ერთობლივად უნდა შეიმუშაონ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ. გარდა ამისა, საქართველოს ნარჩენების მართვის 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ცხოველური ნარჩენების მართვის შესახებ სამოქმედო გეგმის შემუშავებას 2017-2018 წლებში. ამ კუთხით, პასუხისმგებელ ორგანოებად მიჩნეულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

არსებული პრაქტიკა და პრობლემები

საქართველოში ჯერ-ჯერობით არ არსებობს თანმიმდევრული საკანონმდებლო ბაზა რომელიც სრულყოფილად დაარეგულირებდა ცხოველური ნარჩენების მართვას. როგორც აღინიშნა, “ნარჩენების მართვის კოდექსით” გათვალისწინებულია ცხოველური ნარჩენების მართვის შესახებ კანონქვემდებარე აქტის მიღება 2017 წლის 1 თებერვლამდე. დღეს მოქმედი ნორმატიული აქტები, რომლებიც ეხება ცხოველური ნარჩენების მართვის საკითხებს, სურსათის/ცხოველის საკვების სფეროს მარეგულირებელი დოკუმენტებია, რომლებშიც, ცალკეულ შემთხვევებში, მოცემულია ზოგადი მითითებები ცხოველური ნარჩენების მართვის შესახებ. კერძოდ, ეს ნორმატიული აქტები მოიცავს: ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებებს;¹⁰ დაინფიცირებული და ადამიანისათვის საკვებად უვარგისად მიჩნეული მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების და ვეტერინარული პრეპარატების

⁹ საქართველოს კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსის” მე-3 მუხლის მიხედვით, *ცხოველური ნარჩენები* არის ცხოველთან დაკავშირებული ნარჩენები - ცხოველის სხეული, ცხოველის სხეულის ნაწილი, ნაკელი, ხორცის წარმოების ნარჩენები, ცხოველზე ცდის ჩატარების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები და სხვ.

¹⁰ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის დადგენილება №348 ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ

ამოღების და განადგურების წესებს;¹¹ მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების, ცხოველთა საკვების დამამზადებელი, გადამამუშავებელი, შემნახავი და სარეალიზაციო ობიექტების ვეტერინარულ-სანიტარიულ წესებს;¹² ვეტერინარულ-სანიტარიული უსაფრთხოების წესებს;¹³ სურსათის/ცხოველის საკვების განადგურების წესებს;¹⁴ სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს ან დისტრიბუტორის ჰიგიენის წესებს;¹⁵ სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესებს¹⁶ და სხვ. აღნიშნული კანონქვემდებარე აქტები, ძირითადად, სურსათის უვნებლობის და დაინფიცირებული/უვარგისი პროდუქტებით ან ცხოველთა გადამდები დაავადებებით ადამიანის და შინაური ცხოველების ჯანმრთელობისადმი შექმნილი რისკების თავიდან აცილების და აღმოფხვრისკენ არის მიმართული და ცხოველურ ნარჩენებთან მიმართებით, მხოლოდ ზოგადი მითითებებით შემოიფარგლება.

საქართველოს კანონის “სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი” მოთხოვნით, ბიზნესოპერატორი, ანუ კანონის მიხედვით პირი, რომლის საქმიანობა უკავშირდება სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, ცხოველური პროდუქტების და სხვ. წარმოებას, გადამამუშავებას, დისტრიბუციას და ვეტერინარიის და სხვ. სფეროში მომსახურებას, ექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას. ხოლო აღიარებას ექვემდებარება ის ბიზნესოპერატორი, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებასთან (გარდა პირველადი წარმოებისა) ან/და გადამამუშავებასთან. აღიარება გულისხმობს რეგისტრირებული ბიზნესოპერატორის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურებას. ბიზნესოპერატორის აღიარებას ახორციელებს სურსათის ეროვნული სააგენტო სახელმწიფო კონტროლის შედეგების მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესოპერატორის საქმიანობა სრულად შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კოდექსის მიხედვით,

¹¹ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №433 ტექნიკური რეგლამენტის - „ეპიზოოტიური, ზოონოზური, ზოონოტროპული სნეულებების აღმძვრელი და დაინფიცირებული და ადამიანისათვის საკვებად უვარგისად მიჩნეული მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების, ვეტერინარული დანიშნულების ბიოლოგიური და ყველა სახის ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატების ამოღებისა და განადგურების წესის“ დამტკიცების შესახებ

¹² საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №2-206 მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების, ცხოველთა საკვების (საწარმოო წესით) დამამზადებელი, გადამამუშავებელი, შემნახავი და სარეალიზაციო ობიექტების ვეტერინარულ-სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ

¹³ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2011 წლის 4 ივლისის ბრძანება №2-101 ვეტერინარულ-სანიტარიული უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ

¹⁴ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის დადგენილება №176 სურსათის/ცხოველის საკვების განადგურების წესის დამტკიცების შესახებ

¹⁵ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის დადგენილება №282 სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის გამარტივებული წესის შესახებ

¹⁶ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის დადგენილება №173 სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ

სურსათის სააგენტო ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს ბიზნესოპერატორის საქმიანობაზე, მათ შორის, ზედამხედველობას უწევს ცხოველური ნარჩენების შეგროვებას, უტილიზაციას და განადგურებას.

ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით საქართველოს გააჩნია ვალდებულება მოახდინოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოება სურსათის უვნებლობის სფეროში. ამჟამად, სოფლის მეურნეობის სამინისტროში მიმდინარეობს მუშაობა ამ სფეროს მარეგულირებელ ევროკავშირის ორ რეგულაციაზე. კერძოდ, ესენია: ევროპარლამენტის და ევროპის საბჭოს 2009 წლის 21 ოქტომბრის რეგულაცია #1069/2009 რომელიც ადგენს ჯანმრთელობის დაცვის წესებს ცხოველურ თანაპროდუქტებთან და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებთან, რომლებიც არ არის განკუთვნილი ადამიანის მოხმარებისათვის, მიმართებით; და ევროკომისიის 2011 წლის 25 თებერვლის რეგულაცია #142/2011, რომლის მიზანია ზემოთ მითითებული #1069/2009 რეგულაციის და ევროკომისიის დირექტივის 97/78/EC განხორციელება.

აღნიშნული რეგულაციები, რომელთა მიზანია ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფა, აწესებს მკაცრ მოთხოვნებს ცხოველური თანაპროდუქტების გამოყენების სფეროში. კერძოდ, მათში მოცემულია ცხოველური თანაპროდუქტების შეგროვების, ტრანსპორტირების, შენახვის, გადამუშავების, გამოყენების და განთავსების დეტალური მოთხოვნები. სხვა საკითხებთან ერთად, მოცემულია თითოეული კატეგორიის ცხოველური პროდუქტების ნარჩენების განადგურების და გაუვნებლების დეტალური მოთხოვნები.

საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობით არ არის დადგენილი მსგავსი მოთხოვნები აღნიშნული ტიპის ნარჩენების განადგურების კონკრეტული მეთოდების შესახებ. გამომდინარე აქედან, პირველ რიგში აუცილებელია ევროკავშირის რეგულაციებთან მიახლოებული საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება. გარდა ამისა, ქვეყანაში არ არის ასეთი ნარჩენების სათანადოდ მართვის და განადგურების/გაუვნებლების ტექნოლოგიები და პრაქტიკა. ვერ ხორციელდება სათანადო კონტროლი ცხოველური ნარჩენების მართვაზე, მით უფრო, რომ საკანონმდებლო მოთხოვნები ამ მხრივ, არ არის სრულყოფილი.

შესაძლებლობათა გაძლიერების საჭიროებები

სფერო: ცხოველური ნარჩენების მართვის შესახებ რეგულაციების შემუშავება; აღსრულების ზედამხედველობა და კონტროლი
სამიზნე: სოფლის მეურნეობისა და სურსათის დეპარტამენტი
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამჟამად სოფლის მეურნეობის სამინისტროში მიმდინარეობს მუშაობა ცხოველური ნარჩენების მართვის შესახებ კანონქვემდებარე აქტის მომზადებაზე. ამ მიზნით, შექმნილია სამუშაო ჯგუფი, სადაც ჩართულები არიან ასევე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს თანამშრომლები. თუმცა, გამომდინარე სამუშაოს მოცულობიდან და საქართველოში ამ სფეროში გამოცდილების და პრაქტიკის ნაკლებობიდან, სოფლის მეურნეობის სამინისტრო საჭიროებს დახმარებას, მათ შორის საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით. როგორც აღინიშნა, დღეს მოქმედი საქართველოს კანონმდებლობა არ მოიცავს ამ ტიპის ნარჩენების

განადგურების დეტალურ მოთხოვნებს. მხოლოდ ცხოველების საშიშ ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლის წესებში¹⁷ არის მითითებული, თუ როგორ უნდა განადგურდეს მოცემული დაავადებით დაღუპული ცხოველის ნარჩენები. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, მხოლოდ ზოგადი მითითებებია მოცემული. გარდა ამისა, ევროკავშირის შესაბამისი რეგულაციებისაგან განსხვავებით, იგი არ მოიცავს ნარჩენების მართვის სრულ რგოლს შეგროვების, ტრანსპორტირების, შენახვის და ა.შ. ჩათვლით. ამ კუთხით სერიოზული მუშაობა იქნება გასაწევი ევროკავშირის შესაბამისი ნორმატიული აქტის ჩამოყალიბებისათვის. ცხოველური ნარჩენების მართვის შესახებ კანონქვემდებარე აქტის შემუშავება გათვალისწინებულია 2016-2020 წლების ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმით, ამიტომ წინამდებარე დოკუმენტში განმეორებით არ შევიტანეთ ეს ღონისძიება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ სფეროში შემოთავაზებული ღონისძიებების განხორციელებას წინ უნდა უძღოდეს აღნიშნული კანონქვემდებარე აქტის შემუშავება, როგორც ეს მითითებულია ქვემოთ, შესაძლებლობათა განვითარების გეგმაში.

ასევე, გამოწვევას წარმოადგენს ქვეყანაში ცხოველური ნარჩენების განადგურებისა და გაუვნებლების მეთოდებისა და პრაქტიკის არარსებობა. ამისათვის, გასაწევი იქნება მუშაობა კერძო სექტორთან, კერძოდ, ცნობიერების ამაღლების კუთხით იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს ცხოველური ნარჩენების განადგურება. შესაძლებელია კერძო სექტორისათვის შესაბამისი ტრენინგების გათვალისწინება და მარტივი სახელმძღვანელო დოკუმენტის/ბროშურის შემუშავება სადაც აღწერილი იქნება ახალი საკანონმდებლო მოთხოვნები ცხოველური ნარჩენების მართვის შესახებ.

გარდა ამისა, საჭირო იქნება სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს, სურსათის ეროვნული სააგენტოს შესაძლებლობათა გაძლიერება ცხოველური ნარჩენების შესახებ ახალი კანონმდებლობის მიხედვით სახელმწიფო კონტროლის განხორციელების სფეროში. კერძოდ, მიზანშეწონილია პრაქტიკული გაიდლაინის შემუშავება ცხოველური ნარჩენების სწორად მართვის ზედამხედველობის და კონტროლის საკითხებზე და სააგენტოს პერსონალის ტრენინგი გაიდლაინის პრაქტიკაში გამოყენების საკითხებზე. ასევე რეკომენდებულია ე.წ. ტრენერთა ტრენინგის გათვალისწინება, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის შემდგომ გადაცემას რეგულირების ობიექტებისათვის.

2.4 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

კომპეტენციები ნარჩენების მართვის სფეროში

“ნარჩენების მართვის კოდექსის” მიხედვით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციაა სამედიცინო ნარჩენების მართვის რეგულირება და კონტროლი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან ერთად. კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად, აღნიშნულმა სამინისტროებმა 2017 წლის 1 თებერვლამდე ერთობლივად უნდა გამოსცენ კანონქვემდებარე აქტი სამედიცინო ნარჩენების მართვის შესახებ. გარდა ამისა, კოდექსი ითვალისწინებს სამედიცინო ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავებას. ნარჩენების

¹⁷ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის დადგენილება №348 ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ

მარტვის 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის მიხედვით, სამედიცინო ნარჩენების მარტვის სამოქმედო გეგმა უნდა შემუშავდეს 2018 წლისათვის. გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ორგანოა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

არსებული პრაქტიკა და პრობლემები

დღეისათვის, საქართველოში სამედიცინო ნარჩენების მარტვის მარეგულირებელ დოკუმენტს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №64 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი - “სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ნარჩენების შეგროვების, შენახვისა და გაუვნებლების სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ”. ტექნიკური რეგლამენტი ადგენს სანიტარიულ-ჰიგიენურ და ეპიდემიოლოგიურ სტანდარტებს და წესებს სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ყველა სახის ნარჩენის შეგროვების, შენახვის, გადამუშავების, გატანის და გაუვნებლებისათვის და ახდენს სამედიცინო ნარჩენების კლასიფიკაციას სახიფათოობის მიხედვით. თუმცა, აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტი, გამომდინარე იქედან რომ იგი მოძველებულ რეგულაციებს ეფუძნება, არ არის შესაბამისობაში “ნარჩენების მარტვის კოდექსთან” და “სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილებასთან, რომელსაც შემოაქვს სრულიად ახალი, ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისი, ექვსნიშნა კოდებზე დაფუძნებული ნარჩენების კლასიფიკაციის სისტემა.

სახიფათო ნარჩენების ფორმალური აღრიცხვა ამჟამად საქართველოში არ წარმოებს. მონაცემები სამედიცინო ნარჩენების შესახებ ძირითადად ექსპერტულ შეფასებას და ცალკეული საერთაშორისო პროექტების ფარგლებში მოპოვებულ მონაცემებს ეფუძნება. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს №422 დადგენილებით „ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ“ ნარჩენების წარმომქმნელებს, მათ შორის სამედიცინო დაწესებულებებს, რომლებიც წარმოქმნიან წელიწადში 2 ტონაზე მეტ არასახიფათო ნარჩენს (გარდა მუნიციპალური ნარჩენებისა) ან/და ნებისმიერი რაოდენობით სახიფათო ნარჩენს, ევალუბათ მათ მიერ წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ აღრიცხვა-ანგარიშგების ფორმების წარდგენა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში. გარდა ამისა, “ნარჩენების მარტვის კოდექსის” მიხედვით, ნარჩენების წარმომქმნელი, მათ შორის სამედიცინო დაწესებულება, რომელიც წლის განმავლობაში წარმოქმნის 200 ტონაზე მეტ არასახიფათო ან 1000 ტონაზე მეტ ინერტულ ნარჩენს, ან ნებისმიერი რაოდენობით სახიფათო ნარჩენს, ვალდებულია შეიმუშაოს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წარმოადგინოს კომპანიის ნარჩენების მარტვის გეგმა. პირველი გეგმების წარდგენა 2016 წლის 31 დეკემბრამდე უნდა მოხდეს, ხოლო შემდგომი განახლება - ყოველ სამ წელიწადში ერთხელ.

სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების შიგნით სამედიცინო ნარჩენების სეპარირებულად შეგროვების კონტროლი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს კომპეტენციაა. სააგენტო ახდენს სამედიცინო დაწესებულებების სალიცენზიო და სანებართვო პირობების და ტექნიკური რეგლამენტის

მოთხოვნების შესრულების კონტროლს, მათ შორის სამედიცინო ნარჩენების მართვის კუთხით. ხოლო სამედიცინო ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების და გადამუშავება/განთავსების განმახორციელებელი ოპერატორების სახელმწიფო ზედამხედველობა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს კომპეტენციას წარმოადგენს. ზედამხედველობის და კონტროლის სფეროში ჯერ-ჯერობით პრობლემურია მკაფიო გაიდლაინების არარსებობა და შეზღუდული ადამიანური რესურსები, რის გამოც ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება სამედიცინო ნარჩენების მართვის მიმართ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების აღსრულება.

შესაძლებლობათ გაძლიერების საჭიროებები

სფერო: სამედიცინო ნარჩენების მართვის შესახებ რეგულაციების შემუშავება; ნარჩენების კლასიფიკაცია; სამედიცინო ნარჩენების სეპარირებულად შეგროვების მოთხოვნების აღსრულება, ზედამხედველობა და კონტროლი

სამიზნე: ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი

სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო

“ნარჩენების მართვის კოდექსის” შესაბამისად, 2017 წლის 1 თებერვლამდე უნდა შემუშავდეს კანონქვემდებარე აქტი სამედიცინო ნარჩენების მართვის შესახებ. გამომდინარე შეზღუდული ვადებიდან და სამინისტროების შეზღუდული რესურსებიდან, აღნიშნული კანონქვემდებარე აქტის შემუშავებისათვის საჭირო იქნება დონორების დახმარება. ისევე, როგორც აღნიშნული იყო ზემოთ, ცხოველური ნარჩენების შემთხვევაში, სამედიცინო ნარჩენების მართვის შესახებ კანონქვემდებარე აქტის შემუშავება უკვე შეტანილია 2016-2020 წლების ნარჩენების მართვის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში. გამომდინარე აქედან, მოცემულ დოკუმენტში ეს ღონისძიება არ არის შეტანილი. თუმცა, როგორც მითითებულია ქვემოთ, შესაძლებლობათა განვითარების გეგმაში, ამ დოკუმენტით შემოთავაზებული ღონისძიებების ნაწილის განხორციელებას წინ უნდა უძღოდეს აღნიშნული კანონქვემდებარე აქტის შემუშავება.

როგორც აღინიშნა, ნარჩენების მართვის ახალი კანონმდებლობით დადგენილია ნარჩენების ახალი კლასიფიკაცია, რომელიც სრულიად განსხვავებულია სამედიცინო ნარჩენების მარეგულირებელი დღეს მოქმედი ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული კლასიფიკაციისაგან. შესაბამისად, პრაქტიკული სახელმძღვანელო გაიდლაინი ნარჩენების სწორად იდენტიფიცირებისათვის, რომელზეც საუბარი იყო ზემოთ, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შესაძლებლობათა განვითარების საჭიროებათა ნაწილში, აუცილებელი იქნება ასევე სამედიცინო ნარჩენების სფეროში მაკონტროლებელი ორგანოს, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსათვისაც. ასევე, აუცილებელია სააგენტოს თანამშრომლების ტრენინგი აღნიშნული გაიდლაინის პრაქტიკაში გამოყენების კუთხით.

გარდა ამისა, მიზანშეწონილია სტანდარტიზებული სახელმძღვანელო გაიდლაინის შემუშავება, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეამოწმოს მარეგულირებელმა სამედიცინო დაწესებულებებში ნარჩენების სწორად მართვა ახალი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. ასევე, უნდა მოხდეს მარეგულირებელი ორგანოს - სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს შესაბამისი პერსონალის მომზადება

სამედიცინო დაწესებულებებში ნარჩენების სწორად შეგროვებაზე კონტროლის განხორციელების კუთხით. და ბოლოს, მიზანშეწონილია ტრენერთა ტრენინგი, იმისათვის რომ აღნიშნული ცოდნის გადაცემა მოხდეს სამედიცინო დაწესებულებების პერსონალის და სხვა დაინტერესებული სამიზნე ჯგუფებისათვის.

2.5 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

კომპეტენციები ნარჩენების მართვის სფეროში

“ნარჩენების მართვის კოდექსის” მიხედვით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციაა ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის რეგულირება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან ერთად.

ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვა საქართველოში რეგულირდება 1995 წლის კანონით „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“. გარდა ამისა, საქართველოში 1999 წლიდან ძალაშია „ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“. ამჟამად მომზადებულია ახალი კანონპროექტი ნარჩენების იმპორტის, ექსპორტისა და ტრანზიტის შესახებ, რომელიც მთლიანად ახდენს ბაზელის კონვენციის მოთხოვნების ასახვას ეროვნულ კანონმდებლობაში. კანონპროექტის პარლამენტისთვის წარდგენა უახლოეს მომავალში იგეგმება.

არსებული კანონით “საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ”, დადგენილია ნარჩენები, რომელთა იმპორტი აკრძალულია; ნარჩენები რომელთა იმპორტი დაშვებულია და ასევე, სახიფათო და რადიოაქტიური ნარჩენები. საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ექსპორტის, იმპორტის და ტრანზიტის შესახებ პოლიტიკის შემუშავებასა და გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელ ორგანოს წარმოადგენს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. ხოლო ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი პასუხისმგებელია ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის საბაჟო კონტროლის განხორციელებაზე. ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციაა კონტროლის ღონისძიებების განხორციელება ნარჩენების უკანონო გადაზიდვის გამოვლენის მიზნით.

არსებული პრაქტიკა და პრობლემები

დღეისათვის საქართველოში სრულად ვერ ხერხდება ბაზელის კონვენციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება. კერძოდ, დასახვეწია ბაზელის კონვენციის მიხედვით ნარჩენების ტრანზიტის შემთხვევაში ტრანზიტის სახელმწიფოს/სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოებიდან შეტყობინების მიღების და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ წერილობითი თანხმობის გაცემის პროცედურა. არსებული პრაქტიკით, ნარჩენების ტრანზიტისას, უმეტეს შემთხვევებში, ტრანზიტის განმახორციელებელს არ გააჩნია წინასწარი თანხმობა, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა თანხმობა ტრანზიტზე გაცემულია, საბაჟო დეპარტამენტი არ არის ამის შესახებ ინფორმირებული, რაც იწვევს ტრანზიტის პროცესის შეფერხებას.

გარდა ამისა, არ ხდება ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის კონტროლის სფეროში საბაჟო მოხელეთა სპეციალური მომზადება/გადამზადება. არ არსებობს პროცედურული სახელმძღვანელო მეზაჟეებისათვის ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის კონტროლის მექანიზმების შესახებ. გამომდინარე აქედან, მეზაჟეები ხშირად აწყდებიან პრობლემას როგორც კონკრეტული ნარჩენის იდენტიფიცირების, ისე საჭირო დოკუმენტების შემოწმების კუთხით. ასევე, ქვეყანაში არ არსებობს აკრედიტებული ლაბორატორიები, სადაც შესაძლებელი იქნება უცნობი ნარჩენების ლაბორატორიული მეთოდებით იდენტიფიცირება.

შესაძლებლობათა გაძლიერების საჭიროებები

სფერო: ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის კონტროლი
სამიზნე: სსიპ შემოსავლების სამსახური, საბაჟო დეპარტამენტი

გამომდინარე აღნიშნული საჭიროებებიდან, აუცილებელია პრაქტიკული სახელმძღვანელოს შემუშავება მეზაჟეებისათვის, სადაც მკაფიოდ იქნება გაწერილი ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის კონტროლის პროცედურა და ასევე, საჭიროების შემთხვევაში კონკრეტული ზომების გატარების ან შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს, მაგ. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და შინაგან საქმეთა სამინისტროს, ჩართვის პროცედურა. გარდა ამისა, სახელმძღვანელოში მოცემული უნდა იყოს ნარჩენების კლასიფიკაციის მკაფიო ინსტრუქცია ბაზელის კონვენციის მიხედვით, რომელიც მეზაჟეს დაეხმარება ნარჩენების იდენტიფიცირებაში და სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც უნდა ახლდეს ტვირტს.

ასევე, აუცილებელია შესაბამისი ტრენინგის ჩატარება მეზაჟეებისათვის, რომელმაც უნდა მოიცვას როგორც ბაზელის კონვენციით განსაზღვრული ნარჩენების კოდები და კლასიფიკაცია, ისე ტრანსსასაზღვრო კონტროლის დეტალური პროცედურა, მათ შორის შესამოწმებელი დოკუმენტაცია, რომელი ადმინისტრაციული ორგანო უნდა იყოს ჩართული კონკრეტულ შემთხვევებში და სხვ.

2.6 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

კომპეტენციები ნარჩენების მართვის სფეროში

“ნარჩენების მართვის კოდექსის” მიხედვით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კომპეტენციაა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან და სხვა კომპეტენტურ უწყებებთან ერთად, შეიმუშაოს დადგენილების პროექტები, რომლებიც განსაზღვრავს დეტალურ ვალდებულებებს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესახებ. კოდექსის მიხედვით, მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებასთან დაკავშირებული მოთხოვნები უნდა ამოქმედდეს 2019 წლის 1 თებერვლიდან. ნარჩენების მართვის 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის მიხედვით, შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავება, რომლითაც მოხდება მწარმოებლის ვალდებულებების განსაზღვრა, გათვალისწინებულია 2019 წლისათვის. გარდა ამისა, სამოქმედო გეგმაში მოცემულია სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც საჭიროა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვის და განხორციელებისათვის, როგორცაა, ნარჩენების ნაკადების წინასწარი შეფასების და ანალიზის ღონისძიებები, შეგროვების სისტემების პილოტირება, ეკონომიკური

ინსტრუმენტების შესწავლა და დანერგვა და სხვ. საქართველოში ამ სფეროში გამოცდილების ნაკლებობიდან გამომდინარე, აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებაში, მნიშვნელოვანწილად, გათვალისწინებულია დონორთა დახმარება. გამომდინარე იქედან, რომ სამოქმედო გეგმა უკვე მოიცავს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვისათვის საჭირო პირველი ეტაპის ღონისძიებებს, აღნიშნულ დოკუმენტში არ იქნა შეტანილი სხვა დამატებითი ღონისძიებები.

გარდა ამისა, “ნარჩენების მართვის კოდექსის” მიხედვით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კომპეტენციაა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს კანონქვემდებარე აქტები ნარჩენების ტრანსპორტირების სფეროში. როგორც შესავალში იყო აღნიშნული, ევროკავშირის მხარდაჭერით მომზადდა ტექნიკური რეგლამენტი “ნარჩენების ტრანსპორტირების წესი”, რომელიც უკვე დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №143 დადგენილებით.

არსებული პრაქტიკა და პრობლემები

“ნარჩენების მართვის კოდექსის” მიღებამდე არ არსებობდა მარეგულირებელი ჩარჩო ნარჩენების ტრანსპორტირების სფეროში. შესაბამისად, დღემდე არ არსებობს ნარჩენების ქვეყნის შიგნით გადაზიდვის რეგულირების პრაქტიკა. ავტოსატრანსპორტო საშუალებით ტვირთის გადაზიდვის სფეროში ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტია ტექნიკური რეგლამენტი “ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესი”, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №32 დადგენილებით. მისი მიზანია ავტოსატრანსპორტო საშუალებით ტვირთის გადაზიდვისას ადამიანთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის და საკუთრების უსაფრთხოების დაცვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფა და საავტომობილო ტრანსპორტის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან. უახლოეს დრომდე, აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის მოქმედება არ ვრცელდებოდა იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც გამოიყენება ნარჩენების შეგროვებისა და გატანისათვის. ეს აიხსნება იმით, რომ ნარჩენების მართვის და მათ შორის, ნარჩენების ტრანსპორტირების სფერო არ იყო ქვეყანაში სათანადოდ დარეგულირებული. თუმცა, ტექნიკური რეგლამენტის “ნარჩენების ტრანსპორტირების წესი” მომზადების შემდეგ, ტექნიკურ რეგლამენტში “ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესი” განხორციელდა ცვლილება, რის შემდეგაც აღნიშნული გამორიცხვა ამოღებულ იქნა.¹⁸ შესაბამისად, ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ნარჩენების ტრანსპორტირება ამჟამად ექვემდებარება ტვირთის გადაზიდვის ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის დადგენილება №32 ტექნიკური რეგლამენტის “ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესის” დამტკიცების შესახებ მოიცავს ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის ყველა ასპექტს. მათ შორის, მასში მოცემულია: მოთხოვნები

¹⁸ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №58 „ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ავტოსატრანსპორტო საშუალების მიმართ; მძღოლის, გადამზიდველის, ტვირთგამგზავნისა და ტვირთმიმღების ვალდებულებები, სახიფათო ტვირთის გადაზიდვა და ა.შ. გამომდინარე იქედან, რომ ნარჩენების ტრანსპორტირება განიხილება როგორც ტვირთის ტრანსპორტირების კერძო შემთხვევა და ანალოგიურად, სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირება განიხილება როგორც სახიფათო ტვირთის ტრანსპორტირების კერძო შემთხვევა, ტექნიკური რეგლამენტი “ნარჩენების ტრანსპორტირების წესი”¹⁹ მომზადდა, როგორც აღნიშნული №32 დადგენილების დამატება და მასში მოცემულია სპეციფიკური მოთხოვნები ნარჩენების ტრანსპორტირების შესახებ. ხოლო, მოთხოვნების იმ ნაწილში, რაც ზოგადად ტვირთის (მათ შორის ნარჩენების) ტრანსპორტირება ეხება, იგი მთლიანად აკეთებს რეფერირებას №32 დადგენილებაზე. აღსანიშნავია, რომ ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს კანონმდებლობის „სახიფათო ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვების შესახებ“ ევროპულ შეთანხმებასთან (ADR) შესაბამისობის მისაღწევად. მოსალოდნელია, რომ “ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესი” ჩანაცვლდება ახალი ტექნიკური რეგლამენტით, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება ADR-ის მოთხოვნებთან და შესაბამისად, მოხდება “ნარჩენების ტრანსპორტირების წესის” განახლება.

შესაძლებლობათა გაძლიერების საჭიროებები

სფერო: ნარჩენების ტრანსპორტირება

სამიზნე: სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო

საავტომობილო ტრანსპორტის დარგში ტექნიკური რეგლამენტების შემუშავებაზე და მოქმედი რეგულაციების, მათ შორის №32 დადგენილების მოთხოვნათა შესრულების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი ორგანოა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო. სააგენტო გასცემს მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებებით, შეთანხმებებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ნებართვებს, სერტიფიკატებს და დაშვების მოწმობებს და ახორციელებს ამ ნებართვებით, სერტიფიკატებითა და დაშვების მოწმობებით განსაზღვრული პირობების დაცვის მონიტორინგს.

როგორც აღინიშნა, ნარჩენების ტრანსპორტირება განიხილება როგორც ტვირთის ტრანსპორტირების ცალკეული შემთხვევა. შესაბამისად, ცალკეული ტიპის ნარჩენების ტრანსპორტირებაზე გავრცელდება იგივე მოთხოვნები, რაც დადგენილია იმ ტიპის ტვირთის ტრანსპორტირებისათვის, რომლისგანაც წარმოიქმნა ნარჩენები. ამ მხრივ მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ტვირთის თვისობრივ მახასიათებლებს და არა მის სტატუსს - წარმოადგენს ის პროდუქტს თუ ნარჩენს. შესაბამისად, მარეგულირებელი ორგანოს ფუნქციები და პრაქტიკა არსებითად არ იცვლება ნარჩენების ცნების შემოტანით. გამომდინარე აქედან, დღესდღეობით არ არსებობს ამ კუთხით შესაძლებლობათა გაძლიერების საჭიროება, მაგ. რაიმე სპეციფიკური გაიდლაინის შემუშავების სახით. თუმცა, მიზანშეწონილი იქნებოდა სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ტრენინგი ნარჩენების კოდების და მათი საერთაშორისო საშიშროებათა კლასებთან მიმართების

¹⁹ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №143 დადგენილებით

საკითხებზე, გამომდინარე იქედან რომ დადგენილება №32 სახიფათო ტვირთის კლასიფიკაციას ახდენს სწორედ საშიშროებათა 9 კლასის მიხედვით.

2.7 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

კომპეტენციები ნარჩენების მართვის სფეროში

“ნარჩენების მართვის კოდექსის” მიხედვით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციაა ნარჩენების სფეროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმების შედგენა, სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა და ადმინისტრაციული სახდელის დადება. კერძოდ, ეს სამართალდარღვევებია: ნარჩენებით (მუნიციპალური, სამშენებლო, შლამისებრი, ცხოველური, სახიფათო და სხვ.) გარემოს დანაგვიანება, ნარჩენების ტრანსპორტირებისას ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება ან დაბინძურება და ნარჩენების შეგროვება ან/და ტრანსპორტირება რეგისტრაციის გარეშე.

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №32 დადგენილების, ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესის“ დამტკიცების თაობაზე მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი და სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო ითანხმებენ ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობის მარშრუტს შემდეგ შემთხვევებში: ა) განსაკუთრებით სახიფათო ტვირთის²⁰ გადაზიდვისას; ბ) სახიფათო ტვირთის გადაზიდვისას, რომელიც სრულდება რთულ საექსპლუატაციო პირობებში; და გ) სახიფათო ტვირთის გადაზიდვისას, რომელიც სრულდება სამზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით კოლონაში. ამასთან, აღნიშნული დადგენილების მიხედვით, განსაკუთრებით სახიფათო ტვირთის გადაზიდვა დასაშვებია მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ჯგუფის ავტოსატრანსპორტო საშუალების თანხლებით.

არსებული პრაქტიკა და შესაძლებლობათა გაძლიერების საჭიროებები

როგორც უკვე იყო აღნიშნული, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №32 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესის“ დამტკიცების თაობაზე უახლოეს დრომდე არ ვრცელდებოდა ნარჩენების გადაზიდვაზე. ამ წესის მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურები ითანხმებენ სახიფათო ტვირთების გადამზიდავი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მარშრუტს ზემოთ მითითებულ შემთხვევებში. მარშრუტის შეთანხმების მიზანია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურები მზადყოფნაში იყონ შესაძლო ავარიის შემთხვევაში და სწრაფად მოახდინონ რეაგირება. აღნიშნული წესის გავრცელება ნარჩენებზე არ გამოიწვევს დამატებითი ვალდებულებების გაჩენას, ან მნიშვნელოვან ცვლილებას ამ წესის პრაქტიკული განხორციელების თვალსაზრისით. თუმცა, გასათვალისწინებელი იქნება შემდეგი გარემოება. სავარაუდოა, რომ უმეტეს შემთხვევებში, გადასაზიდი სახიფათო ნარჩენების რაოდენობა მცირე იქნება. გამომდინარე იქედან, რომ არსებული კანონმდებლობით არ

²⁰ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №32 დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესის“ მე-4 მუხლის მიხედვით, განსაკუთრებით სახიფათო ტვირთი არის სახიფათო ტვირთი, რომელსაც მინიჭებული აქვს პირველი ან მეშვიდე კლასი, ამავე წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

არის დადგენილი რაოდენობრივი ზღვარი, თუ რა რაოდენობის განსაკუთრებით სახიფათო ნივთიერების გადაზიდვა შეიძლება ჩაითვალოს საგანგებო მდგომარეობად, ნებისმიერი, თუნდაც ძალიან მცირე რაოდენობით ნარჩენის გადაზიდვა, რომელიც კლასიფიცირდება როგორც განსაკუთრებით სახიფათო, გამოიწვევს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან გაცილების საჭიროებას, რაც შეიძლება ყოველთვის არ იყოს გამართლებული. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილია მომზადდეს სახელმძღვანელო მითითებები იმის თაობაზე, თუ რა რაოდენობის და რა სახის სახიფათო ტვირთის, მათ შორის ნარჩენის, გადაზიდვის შემთხვევაში იქნება საჭირო ტვირთის გაცილება შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურების მიერ. ასევე, ტვირთის რაოდენობასთან ერთად, უნდა დაზუსტდეს ტვირთში სახიფათო ნივთიერების პროცენტული შემცველობის ზღვარიც. აღნიშნული რაოდენობრივი ლიმიტი არ ეხება სახიფათო ტვირთის გადაზიდვის მარშრუტის შეთანხმებას. მარშრუტის შეთანხმება შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან და სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან უნდა განხორციელდეს ჩვეულებრივ, №32 დადგენილების შესაბამისად, ზემოთ აღწერილ შემთხვევებში. როგორც უკვე იყო აღნიშნული, სახიფათო ტვირთის გადაზიდვის მარშრუტის შეთანხმება უზრუნველყოფს ტვირთის გადაზიდვის უსაფრთხოებას და საჭიროების შემთხვევაში, ოპერატიულ რეაგირებას. ასევე, ტრანსპორტირების მარშრუტების აღრიცხვა და რუკებზე დატანა აუცილებელია სახიფათო ტვირთების გადაზიდვის მონიტორინგისათვის.

გარდა ამისა, მიზანშეწონილია შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურების, კერძოდ, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომლების ტრენინგი სახიფათო ნარჩენების კლასიფიკაციის საკითხებზე. კერძოდ, ისევე როგორც სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს შემთხვევაში, ტრენინგში გათვალისწინებული უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობით და ბაზელის კონვენციით დადგენილი სახიფათო ნარჩენების კოდები და მათი მიმართება საერთაშორისო საშიშროებათა კლასებთან.

ტექნიკურ საჭიროებებს შორის უნდა აღინიშნოს სამაშველო ჯგუფებისათვის განკუთვნილი ტექნიკური აღჭურვილობის სიმცირე. კერძოდ, სამაშველო ჯგუფები უნდა აღიჭურვოს სპეციალური ტანსაცმლით, აირწინაღებით და სხვა პერსონალური დაცვის საშუალებებით.

3 ნარჩენების მართვის სექტორში ეროვნულ დონეზე სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობათა განვითარების გეგმა

სფერო	ღონისძიება	დამატებითი ინფორმაცია ღონისძიების შესახებ	სამიზნე სამინისტრო და მისი სტრუქტურული ერთეული/საქვეუწყებო დაწესებულება/სსიპი	საკანონმდებლო აქტი, რომელთა განხორციელებასაც ხელს შეუწყობს აღნიშნული ღონისძიების განხორციელება
ნარჩენების კლასიფიკაცია	<ul style="list-style-type: none"> ✓ ნარჩენების კლასიფიკაციის შესახებ პრაქტიკული გაიდლაინის შემუშავება ✓ პერსონალის ტრენინგი ნარჩენების კლასიფიკაციის პრაქტიკულ საკითხებში 	<ul style="list-style-type: none"> ✓ ტრენინგმა სრულყოფილად უნდა მოიცვას ნარჩენების კლასიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხები - ნარჩენების კოდეზი, ნარჩენების სახიფათო თვისებები, აღდგენის გზები და სახიფათო/არასახიფათო ნარჩენებად კლასიფიცირება. 	<ul style="list-style-type: none"> გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ✓ ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახური ✓ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ✓ ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი ✓ სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო 	<ul style="list-style-type: none"> ✓ საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“ ✓ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს დადგენილება №426 „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ ✓ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს დადგენილება №422 „ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ“ ✓ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს ბრძანება №211 „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“
ნარჩენების აღრიცხვა-ანგარიშგება და ელექტრონული მონაცემთა ბაზის ოპერირება	<ul style="list-style-type: none"> ✓ პერსონალის ტრენინგი ნარჩენების აღრიცხვა-ანგარიშგების საკითხებში 	<ul style="list-style-type: none"> ✓ ტრენინგის შედეგად თანამშრომლებს უნდა შეეძლოთ აღრიცხვა-ანგარიშგების ფორმებით წარმოდგენილი მონაცემების სისწორის გადამოწმება და საჭიროების შემთხვევაში 	<ul style="list-style-type: none"> გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ✓ ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახური ✓ გარემოსდაცვითი 	<ul style="list-style-type: none"> ✓ საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“ ✓ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს დადგენილება №422 „ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და

სფერო	ღონისძიება	დამატებითი ინფორმაცია ღონისძიების შესახებ	სამიზნე სამინისტრო და მისი სტრუქტურული ერთეული/საქვეუწყებო დაწესებულება/სსიპი	საკანონმდებლო აქტი, რომელთა განხორციელებასაც ხელს შეუწყობს აღნიშნული ღონისძიების განხორციელება
	<p>✓ პერსონალის ტრენინგი ეროვნულ დონეზე ნარჩენების მართვის დაგეგმვის საკითხებში</p>	<p>მონაცემების დაზუსტების/გასწორების მოთხოვნა. ტრენინგში გათვალისწინებული უნდა იყოს რელევანტური საკითხები, რომლებიც დადგინდება ბრძანებით „აღრიცხვა-ანგარიშგების ელექტრონული ფორმების და ნარჩენების მონაცემთა ბაზის ელექტრონული ფორმების შევსების წესის შესახებ“.</p> <p>✓ ტრენინგის შედეგად თანამშრომლებმა უნდა შეძლონ აღრიცხვა-ანგარიშგების შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავება, საჭიროების შემთხვევაში ექსტრაპოლაცია და გამოყენება ნარჩენების მართვის შემდგომი დაგეგმვისათვის, კერძოდ, ნარჩენების მართვის პრიორიტეტების, მიზნების და ამოცანების დადგენისათვის, დროში გაწერილი სამიზნეების მითითებით. ასევე, სასურველია ტრენინგის ფარგლებში მოხდეს ნარჩენების შესახებ ყოველწლიური</p>	<p>ზედამხედველობის დეპარტამენტი</p>	<p>შინაარსის შესახებ“</p>

სფერო	ღონისძიება	დამატებითი ინფორმაცია ღონისძიების შესახებ	სამიზნე სამინისტრო და მისი სტრუქტურული ერთეული/საქვეუწყებო დაწესებულება/სსიპი	საკანონმდებლო აქტი, რომელთა განხორციელებასაც ხელს შეუწყობს აღნიშნული ღონისძიების განხორციელება
		სტატისტიკური ანგარიშის ფორმატის შემუშავება.		
გარემოზე საქმიანობის რეგისტრაცია, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემა, კომპანიების ნარჩენების მართვის გეგმების შეთანხმება	✓ პერსონალის ტრენინგი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობების გარემოზე ზემოქმედების შეფასების საკითხებში	✓ ტრენინგმა უნდა მოიცვას არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის და გადამტვირთავი სადგურების გარემოზე ზემოქმედების ძირითადი საკითხები და ზემოქმედების თავიდან აცილების საშუალებები, არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების ოპერაციები, გარემოზე ზემოქმედება და თავიდან აცილების ღონისძიებები; ნარჩენების შეგროვების მეთოდები; ნარჩენების ტრანსპორტირება, მათ შორის დასაშვები და რეკომენდებული სატრანსპორტო საშუალებები; ნარჩენების სეპარირების მეთოდები, განსაკუთრებით, სახიფათო ნარჩენების სხვა ნარჩენებისაგან განცალკევების მეთოდები; ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდები და პირობები; გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ✓ ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახური ✓ გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტი	✓ საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“ ✓ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის დადგენილება №144 “ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ” ✓ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს ბრძანება №211 „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“

სფერო	ღონისძიება	დამატებითი ინფორმაცია ღონისძიების შესახებ	სამიზნე სამინისტრო და მისი სტრუქტურული ერთეული/საქვეუწყებო დაწესებულება/სსიპი	საკანონმდებლო აქტი, რომელთა განხორციელებასაც ხელს შეუწყობს აღნიშნული ღონისძიების განხორციელება
	<p>✓ პერსონალის ტრენინგი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის და რეგისტრაციის პირობების ინსპექტირების/კონტროლის და კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხორციელების კონტროლის საკითხებში.</p>	<p>საქმიანობების გარემოზე ზემოქმედების შეფასების საკითხები, როგორცაა ნარჩენების, მათ შორის სახიფათო ნარჩენების, განთავსება, აღდგენა და დამუშავება; სპეციფიკური ნარჩენების, კერძოდ მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების, ნარჩენი ზეთების, აზბესტის და სხვ. გარემოზე ზემოქმედების და გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მიყენებული ზიანის თავიდან აცილების და შერბილების საკითხები.</p>	<p>გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო</p> <p>✓ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი</p>	
მოთხოვნები	✓ პერსონალის	✓ ტრენინგმა უნდა მოიცვას	გარემოსა და ბუნებრივი	✓ საქართველოს კანონი

სფერო	ღონისძიება	დამატებითი ინფორმაცია ღონისძიების შესახებ	სამიზნე სამინისტრო და მისი სტრუქტურული ერთეული/საქვეუწყებო დაწესებულება/სსიპი	საკანონმდებლო აქტი, რომელთა განხორციელებასაც ხელს შეუწყობს აღნიშნული ღონისძიების განხორციელება
სახიფათო ნარჩენების მიმართ	ტრენინგი სახიფათო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებში	სახიფათო ნარჩენების შეფუთვა, ეტიკეტირება, ტრანსპორტირება, დამუშავება, დროებითი შენახვა, უსაფრთხოების ზომები და პირველადი დახმარება ნარჩენების ტრანსპორტირებისას ავარიის შემთხვევაში, სახიფათო ნარჩენების კონტეინერების/სატრანსპორტო საშუალების მარკირება.	რესურსების დაცვის სამინისტრო ✓ ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახური ✓ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	„ნარჩენების მართვის კოდექსი“ ✓ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის დადგენილება №145 „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“
მოთხოვნები ნაგავსაყრელე-ბის მიმართ	✓ პერსონალის ტრენინგი ნაგავსაყრელის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებში	✓ ტრენინგმა უნდა მოიცავს არსებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნები ნაგავსაყრელის მიმართ როგორც მოწყობის ისე ოპერირების ეტაპზე. მათ შორის, ნაგავსაყრელის ადგილმდებარეობა, ნაგავსაყრელების საპროექტო სიმაღლეები და ტოპოგრაფია, წყლის კონტროლი და გამონაჟონის მართვა, ნიადაგის და წყლის დაცვა, ნაგავსაყრელის აირების მართვა, სადრენაჟო სისტემა, ნაგავსაყრელის გეოლოგიური ბარიერის შერჩევის პირობები, ზედა და ქვედა საიზოლაციო სისტემები, ნაგავსაყრელის	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ✓ ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახური ✓ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	✓ საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“ ✓ საქართველოს მთავრობის 2015 წლის დადგენილება №421 „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“

სფერო	ღონისძიება	დამატებითი ინფორმაცია ღონისძიების შესახებ	სამიზნე სამინისტრო და მისი სტრუქტურული ერთეული/საქვეუწყებო დაწესებულება/სსიპი	საკანონმდებლო აქტი, რომელთა განხორციელებასაც ხელს შეუწყობს აღნიშნული ღონისძიების განხორციელება
	<ul style="list-style-type: none"> ✓ ნაგავსაყრელის ინსპექტირების დეტალური ინსტრუქციის/გაიდლაინის შემუშავება 	<p>ფენები და სხვ.; ნაგავსაყრელის ოპერირების პროცედურები, როგორცაა ნარჩენების მიღება, ოპერირების წესები, ემისიების კონტროლი, ნაგავსაყრელის დახურვა და დახურვის შემდგომი მოვლა. ასევე, ყურადღება უნდა გამახვილდეს ძველი ნაგავსაყრელების 2016 წლის ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხებზე.</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ გაიდლაინში მოქმედი ნაგავსაყრელის ინსპექტირების საკითხებთან ერთად, ყურადღება უნდა გამახვილდეს ნაგავსაყრელების დაკონსერვების/დაკონსერვებული ნაგავსაყრელების კონტროლზე და ინსპექტირებაზე. 	<p>გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი 	
<p>ძველი ნაგავსაყრელების ახალი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა;</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ პრაქტიკული გაიდლაინის მომზადება ძველი ნაგავსაყრელების ახალ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში 		<p>რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ შპს “საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია” 	<ul style="list-style-type: none"> ✓ საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“ ✓ საქართველოს მთავრობის 2015 წლის დადგენილება №421 „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“

სფერო	ღონისძიება	დამატებითი ინფორმაცია ღონისძიების შესახებ	სამიზნე სამინისტრო და მისი სტრუქტურული ერთეული/საქვეუწყებო დაწესებულება/სსიპი	საკანონმდებლო აქტი, რომელთა განხორციელებასაც ხელს შეუწყობს აღნიშნული ღონისძიების განხორციელება
<p>ნაგავსაყრელე-ბის დახურვა/კონსერვაცია;</p> <p>ტექნიკური საჭიროებები</p>	<p>მოყვანის გეგმების შემუშავებისათვის</p> <p>✓ პერსონალის ტრენინგი აღნიშნული გაიდლაინის პრაქტიკაში გამოყენების საკითხებზე</p> <p>✓ პერსონალის ტრენინგი ნაგავსაყრელების დახურვის/კონსერვაციის საკითხებზე</p> <p>✓ ნაგავსაყრელის გამონაჟონი წყლების შესამოწმებელი პორტატული აპარატების შეძენა</p> <p>✓ პროგრამული უზრუნველყოფა GIS სისტემაში და პერსონალის ტრენინგი პროგრამის მოხმარების საკითხებზე</p>	<p>✓ გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს მრავალფეროვანი გეოგრაფია და კლიმატური პირობები</p> <p>✓ აპარატების ზუსტი მოდელი შეთანხმებული უნდა იყოს შპს “საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან”</p> <p>✓ GIS სისტემაში დატანილი უნდა იყოს კომპანიის დაქვემდებარებაში არსებული ყველა ნაგავსაყრელი მონიტორინგის წერტილების მითითებით</p>		<p>ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“</p>
აღსრულების	✓ პრაქტიკული	✓ აღნიშნულ სფეროში	სოფლის მეურნეობის	✓ საქართველოს კანონი

სფერო	ღონისძიება	დამატებითი ინფორმაცია ღონისძიების შესახებ	სამიზნე სამინისტრო და მისი სტრუქტურული ერთეული/საქვეუწყებო დაწესებულება/სსიპი	საკანონმდებლო აქტი, რომელთა განხორციელებასაც ხელს შეუწყობს აღნიშნული ღონისძიების განხორციელება
ზედამხედველობა და კონტროლი	<p>გაიდლაინის შემუშავება ცხოველური ნარჩენების მართვის ზედამხედველობის და კონტროლის საკითხებზე</p> <p>✓ პერსონალის ტრენინგი გაიდლაინის პრაქტიკაში გამოყენების საკითხებზე</p>	<p>შემოთავაზებული ღონისძიებების განხორციელებას წინ უნდა უძღოდეს ცხოველური ნარჩენების მართვის შესახებ კანონქვემდებარე აქტის შემუშავება</p>	<p>სამინისტრო</p> <p>✓ სოფლის მეურნეობისა და სურსათის დეპარტამენტი</p> <p>✓ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო</p> <p>✓ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი</p>	<p>„ნარჩენების მართვის კოდექსი“</p>
აღსრულების უზრუნველყოფა	<p>✓ ტრენერთა ტრენინგი</p>	<p>✓ ტრენერთა ტრენინგმა უნდა უზრუნველყოს ცოდნის შემდგომი გადაცემა რეგულირების ობიექტებისათვის, მაგ. ცხოველური ნარჩენების გაუვნებლების და განადგურების მეთოდების შესახებ. ასევე მიზანშეწონილია შემუშავდეს მოკლე საინფორმაციო ბროშურა, სადაც აღწერილი იქნება ახალი საკანონმდებლო მოთხოვნები ცხოველური ნარჩენების მართვის შესახებ.</p>		
სამედიცინო	<p>✓ პრაქტიკული</p>	<p>✓ გაიდლაინში აღწერილი უნდა</p>	<p>შრომის, ჯანმრთელობისა და</p>	<p>✓ საქართველოს კანონი</p>

სფერო	ღონისძიება	დამატებითი ინფორმაცია ღონისძიების შესახებ	სამიზნე სამინისტრო და მისი სტრუქტურული ერთეული/საქვეუწყებო დაწესებულება/სსიპი	საკანონმდებლო აქტი, რომელთა განხორციელებასაც ხელს შეუწყობს აღნიშნული ღონისძიების განხორციელება
ნარჩენების სეპარირებულა და შეგროვების მოთხოვნების აღსრულება, ზედამხედველობა და კონტროლი	<p>გაიდლაინის შემუშავება სამედიცინო დაწესებულებებში ნარჩენების მართვაზე კონტროლის განხორციელების თაობაზე</p> <p>✓ პერსონალის ტრენინგი გაიდლაინის პრაქტიკაში გამოყენების საკითხებზე</p> <p>✓ ტრენერთა ტრენინგი</p>	<p>იყოს თუ როგორ უნდა შეამოწმოს მარეგულირებელმა სამედიცინო დაწესებულებებში ნარჩენების სწორად მართვა ახალი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნულ სფეროში შემოთავაზებულ ამ და სხვა ღონისძიებებს წინ უნდა უძღოდეს სამედიცინო ნარჩენების მართვის შესახებ კანონქვემდებარე აქტის შემუშავება.</p> <p>✓ ტრენერთა ტრენინგმა უნდა უზრუნველყოს სამედიცინო ნარჩენების მართვის საკითხებზე ცოდნის შემდგომი გადაცემა სამედიცინო დაწესებულებების პერსონალისათვის</p>	<p>სოციალური დაცვის სამინისტრო</p> <p>✓ სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო</p> <p>გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო</p> <p>✓ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი</p>	<p>„ნარჩენების მართვის კოდექსი“</p>
ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის კონტროლი	<p>✓ პრაქტიკული გაიდლაინის შემუშავება მებაჟეებისათვის</p>	<p>✓ გაიდლაინში მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის კონტროლის პროცედურა და საჭიროების შემთხვევაში კონკრეტული ზომების გატარების ან შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს</p>	<p>ფინანსთა სამინისტრო</p> <p>✓ სსიპ შემოსავლების სამსახური, საბაჭო დეპარტამენტი</p> <p>გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო</p>	<p>✓ საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“</p> <p>✓ საქართველოს კანონი “საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ”</p> <p>✓ „ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო</p>

სფერო	ღონისძიება	დამატებითი ინფორმაცია ღონისძიების შესახებ	სამიზნე სამინისტრო და მისი სტრუქტურული ერთეული/საქვეუწყებო დაწესებულება/სსიპი	საკანონმდებლო აქტი, რომელთა განხორციელებასაც ხელს შეუწყობს აღნიშნული ღონისძიების განხორციელება
	✓ ტრენინგი მებაჟეებისათვის	<p>ჩართვის პროცედურა; მკაფიო ინსტრუქცია ნარჩენების კლასიფიკაციისათვის ბაზელის კონვენციის მიხედვით; სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც უნდა ახლდეს ტვირთს</p> <p>✓ ტრენინგმა უნდა მოიცვას ბაზელის კონვენციით განსაზღვრული ნარჩენების კოდები და კლასიფიკაცია; ტრანსსასაზღვრო კონტროლის დეტალური პროცედურა, მათ შორის შესამოწმებელი დოკუმენტაცია, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ჩართვის პროცედურა და სხვ.</p>	✓ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ”
ნარჩენების ტრანსპორტირება	✓ ტრენინგი სახიფათო ნარჩენების კლასიფიკაციის საკითხებზე	✓ ტრენინგმა უნდა მოიცვას საქართველოს კანონმდებლობით და ასევე, ბაზელის კონვენციით დადგენილი სახიფათო ნარჩენების კოდები და კლასიფიკაცია და მათი მიმართება საერთაშორისო საშიშროების კლასებთან.	<p>ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p> <p>✓ სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო</p> <p>შინაგან საქმეთა სამინისტრო</p> <p>✓ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი</p> <p>✓ სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო</p>	<p>✓ საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“</p> <p>✓ საქართველოს კანონი “საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ”</p> <p>✓ „ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ”</p>

სფერო	ღონისძიება	დამატებითი ინფორმაცია ღონისძიების შესახებ	სამიზნე სამინისტრო და მისი სტრუქტურული ერთეული/საქვეუწყებო დაწესებულება/სსიპი	საკანონმდებლო აქტი, რომელთა განხორციელებასაც ხელს შეუწყობს აღნიშნული ღონისძიების განხორციელება
ტექნიკური საჭიროებები	<ul style="list-style-type: none"> ✓ სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება განსაკუთრებით სახიფათო ტვირთის გადაზიდვის საკითხებზე 	<ul style="list-style-type: none"> ✓ სახელმძღვანელო მითითებებით უნდა დაზუსტდეს თუ რა რაოდენობით განსაკუთრებით სახიფათო ტვირთის გადაზიდვა შეიძლება ჩაითვალოს საგენგებო სიტუაციად, რასაც დასჭირდება შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან გაცილება. ასევე, გათვალისწინებული უნდა იყოს ასეთ ტვირთში სახიფათო ნივთიერებების პროცენტული შემცველობა 	<p>გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი <p>შინაგან საქმეთა სამინისტრო</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ✓ სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო <p>გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი 	
	<ul style="list-style-type: none"> ✓ სპეციალური ტანსაცმელი, აირწინაღები და სხვა პერსონალური დაცვის საშუალებები სამაშველო ჯგუფებისათვის 		<p>შინაგან საქმეთა სამინისტრო</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ✓ სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო 	

დანართი I „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მიხედვით მისაღები სტრატეგიები, სამოქმედო გეგმები და კანონქვემდებარე აქტები

დასახელება	პასუხისმგებელი უწყება	სტატუსი
სტრატეგიები/სამოქმედო გეგმები		
ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	მიღებულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის დადგენილებით #160
ბიოდეგრადირებადი მუნიციპალური ნარჩენების მართვის სტრატეგია	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	უნდა შემუშავდეს 2019 წლის 31 დეკემბრამდე
მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმები	ადგილობრივი თვითმმართველობები	მუნიციპალიტეტებმა გეგმები უნდა მიიღონ 2017 წლის 31 დეკემბრამდე
კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმები	კომპანიები	გეგმები უნდა შემუშავდეს 2016 წლის 31 დეკემბრამდე და შემდეგ ყოველ 3 წელიწადში ერთხელ
კანონქვემდებარე აქტები		
მინისტრის ბრძანება „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	მიღებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს ბრძანებით #211
დადგენილება „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	მიღებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს დადგენილებით #421
დადგენილება „ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ“	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	მიღებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს დადგენილებით #422
დადგენილება „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	მიღებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს დადგენილებით #426
დადგენილება „ნარჩენების ტრანსპორტირების წესის“ შესახებ	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	მიღებულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის დადგენილებით #143
დადგენილება „ნარჩენების შეგროვების,	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის	მიღებულია საქართველოს მთავრობის 2016

ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“	სამინისტრო	წლის 29 მარტის დადგენილებით #144
დადგენილება „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ“	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	მიღებულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის დადგენილებით #145
დადგენილება „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	მიღებულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის დადგენილებით #159
დადგენილება „ნარჩენების ინსინერაციისა და თანაინსინერაციის პირობების შესახებ“	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	მიღებულ უნდა იქნას მთავრობის მიერ 2017 წლის 1 თებერვლამდე
დადგენილების პროექტები „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების“ შესახებ	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	უნდა შემუშავდეს და მთავრობას დასამტკიცებლად წარედგინოს 2019 წლის 1 თებერვლამდე
კანონქვემდებარე აქტი სამედიცინო ნარჩენების მართვის შესახებ	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სამინისტროებმა უნდა გამოსცენ ერთობლივი აქტი 2017 წლის 1 თებერვლამდე
კანონქვემდებარე აქტი ცხოველური ნარჩენების შესახებ	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სამინისტროებმა უნდა გამოსცენ ერთობლივი აქტი 2017 წლის 1 თებერვლამდე